28 თებერვალი. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

ჹ-76.

# დროშა



N4(28)

**ტრაქტორისტების ახალი კადრები კოლმეურნეობებს.** ფოტო—შ. ფურცხვანიძის.

სურათზე: გომის სატრაქტორო სადგურში გლეხები სწავლობენ ტრაქტორზე მუშაობას.

# უცხოეთის ფოტო-ქრონიკა



ვენაში უმუშევრად დატოვებული მუშები თავს აფარებენ ქალაქ გარედ ქოხმახებს



**ნიუ-იორკის უმუშევართა ცხოვრებიდან.**
მუშა ქალი ბინის ქირის შეუტანლობის გამო გამოუსახლებიათ.



მუშა ქალი თავის ბარგით გარედ გამოდევნილი.

ამ ბოლო დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ინგლისსა, გერმანიასა და შეერთებულ შტატებში, უმუშევრობამ საშიში ხასიათი მიიღო. ეკონომიური ცხოვრების დროებითი აყვავება, რაიცა იმპერიალისტურ ომს მოჰყვა, დამთავრდა. მრეწველობას და ალებმიცემობას მოდუნება დაეტყო; ამის გამო მუშები ასი ათასობით უსაქმოთ დარჩენ. სამრეწველო ცენტრებში უმუშევრობას ზედ ერთვის უბინაობა. მართალია, ზოგიერთ დიდს ქალაქში, უსახლკაროთათვის არსებობს ეგრეთ წოდებული თავშესაფარები, მაგრამ გაჭირვებამ ისეთი მასსიური ხასიათი მიიღო, რომ ეს თავშესაფარები მსურველთა მცირედ ნაწილსაც ვერ აკმაყოფილებენ. ამ თავშესაფარებში უბინაოთ მხოლოდ დროებით სტოვებენ, ამისგარდა, იქ ცხოვრების პირობები იმდენად მძიმეა, რომ ზოგიერთი ამჯობინებს, ღამე ქუჩაში გაათიოს, ქვაფენილზე დაიძინოს, ან ხიდქვეშ; ბევრი კიდევ ამ ქველმოქმედების სატუსაღოდან ჩვეულებრივ სატუსაღოში გადადის უშუალოთ.



მოცლილი და განებივრებული ევროპის ბურჟუაზია საქმეს იჩენს და აცხადებს ლამაზ ქალების შეჯიბრებას და მათთვის პრიზებს. ასეთი სილამაზის პრიზი მიიღო ბერძენმა ქალმა ალისა დიპლარაკიმ, რომელსაც უწოდეს: „მისს ევროპა“.



ტრაქტორების და საბარგო ავტომობილებისთვის ახალი გამოგონება, დალმართებზე და მოყინულ გზებზე სიარულის დროს თვლებზე უკეთებენ რკინის ჯაჭვებს, რის გამო ავტომობილი, თუ ტრაქტორი აღარ ცურდება.

სურათზე: უკანა თვლებზე გასაკეთებელი რკინის ჯაჭვი, ერთზე გაკეთებული და მეორეზე ახლად უკეთებენ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშა

# კოლექტივიზაციის ფრონტზე
## (რადიო-კორესპონდენტის დღიურიდან)

ქაღალდის პატარა ნახევი დაფარულია აჩქარებული ხელით ნაწერ სტრიქონებით.

„ნესტორია! მაქ დამრჩა ტანისამოსის შკაფში შაქარი, ერთი ტომარა ფხვნილი. კიდევ კენჭი შაქარი დიდ ტილოში გახვეული 25 გირ. ნესტორია, ასე იცოდე, მაქ ის შაქარი არ დაიკარგოს თორემ პასუხისგებაში მიგცემთ ყველას. კარგათ გამოიძიე, მოპარული არავისა ქონდეს. სხვა ზევით ტომარაში სინა დარჩა აუწერელი და არც ის დაიკარგოს.

**ბიჭიკო ლეჟავა.“**

წაიკითხავთ ამ წერილს და იფიქრებთ, თითქო მისი დამწერი სადმე მოყვარესთან ან აგარაკზე გამგზავრებულა, გზაში გახსენებია, რომ ტანისამოსის შკაფი, სადაც შაქარი ინახებოდა, დაუკეტავი დარჩენია— ამისათვის შეშინებულა: ვაი თუ ნესტორიას „წუწკი“ ხელები გაეკაროს შაქარსო, დამჯდარა და მოუწერია გამაფრთხილებელი წერილი.



**ს. კისისხევი (კახეთი). კოლექტივის წევრები აბრუნებენ მიწას ვენახის გასაშენებლად.**

„არ დაიკარგოს თორემ პასუხისგებაში მიგცემთ ყველასო“ ორი ტომარა შაქარი, ხუმრობა საქმეა!

კომუნისტები ყოველ ნაბიჯზე „ტრაბახობენ“ და გაჰყვირიან, ხუთწლიან გეგმას ოთხ წელიწადში ვანხორციელებთო.

ოთხი წელიწადი! რა დიდი ამბავია!

აგერ ბიჭიკო ლეჟავამ თავისი ოჯახის ხუთწლიანი გეგმა ერთ თვეში შეასრულა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს.

ცოტა იშრომა? აბა იანგარიშეთ, რამდენი გაიძვერობა, სიცრუე და სიყალბე უნდა ეხმარა ლეჟავას, იმ დროს, როცა სხვები თითო კილოზე მეტს ვერ შოულობენ, მას რომ ორი ტომარა შაქარი დაეგროვებია.

ამისათვის არაფერი გასაკვირი არაა მასში, რომ ამისთანა გაჭირვებით და „შრომით“ შეძენილი საქონელი რომ ჩაუკეტელი დაგრჩეს, შეწუხდე, შეშინდე და წერილიც მოიწერო.

გასაკვირი ის არის,— ლეჟავას, რომელსაც იმისთანა კარგი მეხსიერება ჰქონია, რომ ტომარაში გახვეული სინაც კი არ ავიწყდებოდა, რატომ გამორჩა ერთი და მთავარი გარემოება: **შაქარი კი არ დარჩა მას, არამედ დაატოვებინეს.**

მაგრამ არა, ლეჟავა არც იმდენად სულელია, რომ დავიწყებოდა 29 იანვარი, როცა მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასულმა დიდი-ჯიხაიშის გლეხობამ ჩამოართვა მას ქონება და გააძევა სოფლიდან, როგორც კულაკი-მევახშე და კოლექტივის დაუძინებელი მტერი. ლეჟავამ კარგათ იცოდა, რომ მისი ორი ტომარა შაქარი და მთელი მისი ქონებაც შეძენილია „ნესტორიას“ მზგავს მოჯამაგირეების გაყვლეფით და გაძარცვით.

მან იცის, ვერავის ვერ აგებინებს პასუხს, რადგანაც უკან დასაბრუნებელი გზები დაკეტილია მისთვის.

მაშ რას ნიშნავს ლეჟავას მრისხანე და მუქარით სავსე წერილი მოჯამაგირისადმი!! რას ნიშნავს ამისთანა რიხით, დაცინვით, ღვარძლით და მედიდურათ წამოსროლილი სახელი... ნესტორია.

კოლექტივებით განადგურებული კულაკი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს და ეგ წერილიც მათი უკანასკნელ გაბრძოლების ახალი მეთოდია. მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებიდან გაძევებული კულაკები არ სცხრებიან და შიშის და ტერორის ქველ აყენებენ მათ კარ-მიდამოში დარჩენილ მოჯამაგირეებს;

„არაფერი არ დაიკარგოს, თორემ პასუხისგებაში მიგცემთ ყველასო“!

კულაკები სიკვდილის დამუქრებით ცდილობენ აიძულონ მოჯამაგირეებს ჩამორთმეულ ქონების გადამალვა და შენახვა. სოფელ კულაშიდან გაძევებულმა კულაკმა მიქელაძემ ამისთანა მუქარით და ტერორით აიძულა მის ყოფილ მოჯამაგირეს ქონების გადამალვა.

„კაცი არ მიაკარო, არ წაახდინო, თორემ დავბრუნდები და სიცოცხლეს მოგისპობო“.

როცა მუქარით ვერაფერს აწყობენ, მაშინ ტკბილი სიტყვებით და ქრთამებით ცდილობენ კოლექტივების კედლების შენგრევას; ასე მაგ., სოფელ ჩხენიშში კულაკი, რომელიც გუშინ მეზობლის ლანდსაც კი არ ჩამოუშვებდა ეზოში, დღეს მის გასაძევებლად მისულ გლეხებს ღვინით და ტკბილი სიტყვებით გამოეგება; მაგრამ კოლექტივებში დარაზმულ ღარიბ და საშუალო გლეხობას სჯერა, რომ იმ უფსკრულზე, რომელიც მათსა და კულაკებს შორის არსებობს ვერ გამოსწვდება კულაკის მიერ გადმოწოდებული ჭიქა. არ გაიდება ხიდი.

„ნესტორია, კარგად გამოიძიე, მოპარული არავის ქონდესო“

ეგ ერთი სურვილი კი შეუსრულეს ლეჟავას. სოციალისტურ სოფლის მშენებელმა მოჯამაგირემ დიდი ხანია გამოიძია და დარწმუნდა, რომ კულაკ ლეჟავების ქონება აქამდე მართლაც მოპარული იყო ათას „ნესტორიას“ ჯიბიდან და მხოლოდ ეხლა დაუბრუნდა თავის კანონიერ მეპატრონეს.

* * *

ფოთლებ-გაძარცულ ჭანდრის ქვეშ, პატარა მაგიდის ირგვლივ ირევიან და ფუსფუსებენ გლეხები.

გადმობრუნებულ გოდორაზე შემჯდარი კომკავშირელი იდაყვებით დაყრდნობია მაგიდას, გაუჩვეველი, მაგრამ დიდათ მონდომებული და

დაძაბული თითებით მძიმეთ მიჰყავს ფანქარი ოთხკუთხედით აჭრელებულ ქაღალდზე.

აგერ ფანქარმა უკანასკნელ ოთხკუთხედს, მიაღწია, შიგ რაღაც ჩანიშნა და გაჩერდა.

კომკავშირელი ფანქრის წვერს ენით ასველებს და თავაუღებლად იძახის!

— შემდეგი!

მაგიდის ირგვლივ შეჯგუფული გლეხები წამით გაჩუმდებიან, შემდეგ, თითქო ეხლა მოაგონდათო, რამდენიმე კაცი ერთად წამოიყვ რებს თავის გვარსა და სახელს.

— მოსე არჩაია!

ხმამაღლა იმეორებს კომკავშირელი იმ სახელს და გვარს, რომელიც პირველად გამოიჭირა მისმა სმენამ ერთბაშად აფეთქებულ ხმაურში.

გვარის პატრონი სწრაფად გამოარღვევს წრეს და მიუახლოვდება მაგიდას.

ისევ ამოძრავდება კომკავშირელის ფანქარი.

მჭამელთა რიცხვი?

მიწის რაოდენობა?

მუშა საქონელი?

სამეურნეო იარაღები?

იძახის კომკავშირელი გაზეპირებულ კითხვებს და სმენად ქცეული მოსე არჩაია პასუხობს დინჯად, დასცქერის ქაღალდს და როცა მისი გვარის გასწვრივ მდებარე ოთხ-კუთხედები შეივსება, მოშორდება მაგიდას.

— ჩაეწერა! ამიერიდან მოსე კოლექტივის წევრია, კოლექტივის!

ნელი ნაბიჯით გამოვა წრიდან და გამოიტანს წყნარი სიხარულით განათლებულ სახეს.

მაგიდასთან კი კვლავ გაისმის ნაცნობი ხმა:

— შემდეგი!

უკვე ღამდება. კიდევ რამდენიმე ათეული კომლია აღრიცხვაში გასატარებელი, მაგრამ ადგილიდან არ იძვრიან გლეხები.

ეზოში შემოვარდა პატარა ბიჭი, შექუჩებულ გლეხებში შეძვრა, მონახა მამა, ხალათის კალთაზე მოქაჩა და სწრაფად წასჩურჩულა:

— დიამ შემოგითვალა მოდიო. სა დეიკარქე ამდენ-ხანსო!

მამა შეყოყმანდა. წასვლას დააპირებს, მაგრამ აქეთ იქედან მიაძახებენ: —სად მიდიხარ გიორგი! რახან კოლექტივზე გადასვლა დავადგინეთ, ბარემ აღრიცხვაში გატარებაც დღესვე მოვათაოთ! ხვალიდან კი, დარიც ხელს გვიწყობს და მინდვრებზე გავიდეთ. ამოვყაროთ მიჯნები და გავაერთიანოთ ყანები...

გიორგი რჩება.

— შემდეგი!

კვლავ გაისმის მაგიდასთან კომკავშირელის ხმა.

... გადადით მეორე სოფელში.

შუაღამე გადასულა. საშინლათ ბნელა და ირგვლივ ერთი განათებული ფანარიც არ მოსჩანს. მამლების დროგამოშვებით ყივილი და ძაღლების ყეფა რომ არ ისმოდეს, ვერ იფიქრებდით რომ ეს ადგილი დასახლებულია.

მაგრამ გაივლით რამდენიმე ნაბიჯს კიდევ და უეცრად შორიდან გამოკრთება სინათლე.

აქ სოფლის კლუბია. მიუახლოვდებით კლუბის ეზოს და რაღაც გაურკვეველ გუგუნს გაიგონებთ.

შედიხართ. კლუბის დარბაზი გაჭედილია გლეხებით. ვისაც დასაჯდომი ადგილი ვერ გამოუნახავს, სცენის წინ გაფენილ ნაბადზე მოურთხამს ფეხი. ზოგსაც იმდენი უჩოჩოებია წინ, რომ სცენაზედაც წამოსკუპებულა. ბავშები მოუსვენლად ფუსფუსებენ რიგებში და წამ და უწუმ ინაცვლებენ ადგილს. გარეთ ცივა მაგრამ დარბაზში ისეთი ცხელი, სულის შემხუთველი და მყრალი თუთუნით დამძიმებული ჰაერი სდგას, რომ ადვილად მიხვდებით: არა ერთი და ორი საათი იქნება გასული მას შემდეგ, რაც ამ დარბაზში კრება დაიწყო.



სოფელი ხაშმი (გარე კახეთი). ახლად ჩამოყალიბებული კოლექტივის წევრები არღვევენ ძველ ღობეებს და აერთიანებენ მამულებს.

და მართლაც, ჯერ მზეს დასავლეთისკენ პირიც არ ექნა, რომ მრავალ რიცხოვანი გლეხობა მოაწყდა კლუბს, მოისმინა ბრიგადირის მოხსენება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულაკის როგორც კლასის, განადგურება—გამოიტანა დადგენილება კულაკების გაძევების შესახებ და ეხლა სულგანაბული უსმენდა ბრიგადირის უკანასკნელ სიტყვას.

გათავდა სიტყვა, დარბაზში სიჩუმე წამით უფრო დაიწმინდა, თითქო თითოეულმა კაცმა ული ჩაითქვა, მკერდი შეიკუმშა, რომ შემდეგ მეტი ძალღონებით და ხმიანობით გამოსთქვას სიხარული იმის შესახებ, რომ ხვალიდან კლასიურ მტრებისაგან გაწმენდილი სოფელი შეუდგება ახალი ცხოვრების მოწყობასო.

გადადით მესამე.. მეოთხე... მეათე... სოფელში. ყველგან ასეთივე სურათს წააწყდებით, მეგრელი გლეხი გამოსცილდა თავის ღობეს. მოშორდა საკუთარ ბელელს, რომელზედაც კერძო საკუთრების დამპალი თოკებით იყო მიბმული და პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით კოლექტივიზაციის ფართო გზაზე გამოდის, მაგრამ ამავე დროს სამეგრელოს ზოგიერთ კოთხეში, ამ გზაზე იშვიათად მოსჩანს **გლეხი ქალი.**

მრავალრიცხოვან კრებებზე და სხდომებზე ძვირად გაიგონებთ გლეხი ქალის ხმას. იმ აუარებელ შეკითხვებში, რომელიც მდინარესათვის გაუთავებლად მიაწყდება თავმჯდომარის მაგიდას, გლეხ-ქალებს ძალიან მცირე პროცენტი ეკუთვნის.

გლეხ-ქალების ჩამორჩენილ ნაწილის მონაწილეობა სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ისინი ხანდიხან მოადგებიან ღობეებს და კრებიდან დაბრუნებულ გლეხებთან გასაუბრებით იკმაყოფილებენ თავიანთ ცნობისმოყვარეობას. ზოგიერთ სასოფლო უჯრედების და კომუნისტების უმოქმედობის, უნიათობის და მასიური მუშაობის სისუსტის გამო, გლეხი ქალი ჩამორჩა კოლექტიურ მოძრაობას, მოექცა კუდში და მისთვის გაუგებარი გახდა სოფელში მიმდინარე გარდატეხების სოციალისტური შინაარსი და მნიშვნელობა.

თუ ზოგიერთ სასოფლო უჯრედს სძინავს, სამაგიეროთ ფხიზლობს და მოქმედობს კულაკების „ქალთა განყოფილება“, მათი ცოლების, ქალიშვილების და ფოფოდიების სახით. ისინი სარგებლობენ გლეხი-ქალების ჩამორჩენილობით და ცდილობენ მათი საშუალებით გაატარონ კოლექტივების საწინააღმდეგო აგიტაცია. კულაკის ქალებმა მოხერხებულათ მოჰკიდეს ხელი გლეხი ქალების „დამუშავებას“ და რომ მათი ასეთი „მუშაობა“ ყოველთვის უნაყოფოთ არ თავდება, ეს საუკეთესოდ დაამტკიცა სოფელ თარგამოულში მოწვეულმა კრებამ. კულაკის მიერ წინასწარ დარიგებულმა და ჭორებით მოშხამულმა რამდენიმე გლეხ ქალმა, კრებაზე შემოპარულ კულაკების ქალებთან ერთად, იმისთანა განგაში და ყვირილი ასტეხეს, რომ თავმჯდომარის არჩევის საშუალებაც კი არ მისცეს კრებას.

არ შევალთ კოლექტივშიო...

შავსილების გაძევების შემდეგ, ქალები დაწყნარდენ და როცა ერთ მათგანს ჰკითხეს, რატომ არ გინდა კოლექტივში შესვლა, მან განაცხადა

— კოლექტივებში ორმოცარშინიან საბნებს შეკერავენ, რომ ყველა მამაკაცები და ქალები ერთად დავწვეთ და საქონლებივით ვიცხოვროთ.

ძველი სენაკის თემში ერთი საშუალო გლეხი ქალი გაცხარებით ედავებოდა ალმასკომის თავჯდომარეს:

— ჩემზე შეწერილ სათესლე სიმინდს არ გადავიხდი! მორჩა და გათავდა!

რატომ, რა მიზეზით?!

—ბრიგადები სიმინდს ქალაქში წაიღებენ და ჩვენ უთესლოდ დაგვტოვებენ! განაცხადა ქალმა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ორი ფაქტიც ნათლად მოწმობს იმას, თუ რა განმანადგურებელ მუშაობას აწარმოებს კულაკი გლეხი-ქალების ჩამორჩენილ ნაწილში.

გლეხ-ქალებთან უბრალო და წამიური გასაუბრებაც კი დაგარწმუნებთ, რომ მათ სურთ ნათლად და გარკვევით წარმოიდგინონ და გაიგონ კოლექტივის რაობა, მისი შინაარსი, მაგრამ ადგილობრივი მუშაკების უყურადღებობის გამო მათ სურვილს კულაკების ჭორები ასაზრდოებს და ანელებს. ადგილობრივმა უჯრედებმა დაკვირითი წესით უნდა გააცხოველონ გლეხ-ქალთა შორის მასიური მუშაობა, გლეხი-ქალი, რომელიც იჯერებს ორმოცარშინიან საბნის არსებობას, რომელიც დღეს იძახის—ჩემს მარჩენალ ძროხას კოლექტივში არ შევიყვანო—ხვალაც ამასვე დაიჯერებს და გაიმეორებს, თუ კარგათ მოწყობილ კოლმეურნეობის მაგალითზე არ უჩვენეთ მას კერძო ცხოვრების უბადრუკობა კოლექტივის წინაშე. ამიტომ ძალიან ნაყოფიერი იქნებოდა, რომ იწარმოებდეს სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხი- ქალების დელეგაციების გაგზავნა კარგათ მოწყობილ კოლმეურნეობაში, სადაც ისინი გაიცნობდენ რა კოლექტივის ქალების ყოფა-ცხოვრებას თვითონვე დაინახავდენ კოლექტივებში გაერთიანების უპირატესობას.

**კონსტანტინე ლორთქიფანიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუმრობა

მთელი დღე მივდიოდი ბილიკებზე. გადმოვიარე ფერდობები; ლურჯი ხეობები, უძირონი —ჩაშავებულნი უკან დავსტოვე, მაინც ვერ მივაღწიე რკინის გზის სადგურამდე, თვ ლწინ ისევ იშლებოდენ გზები, ჭალები და ულრანი ჯაფარონები...

საშინლად ვგრძნობდი დაღლილობას, მოვათრევდი ფეხებს და რაღაც აკვიატებულ სიტყვებს გულში ნაღვლიანად ვმღეროდი.

შემომაღამდა ამ უდაბურ ალაგას, თითქოს შეუმჩნევლად გზებზე დაიღვარა ბინდები და სადღაც სოროსთან ორღობეში გულის ამყუჩებლად შაშვი აკვნესდა.

უზარმაზარი ღრუბელი ჯერ კიდევ დილას გაიშალა ცაზე და ახლა შეღამებისას ვგრძნობდი, როგორ ეცემოდენ წვიმის ცივი წვეთები ჩემს ფარაჯაზე.

შევეცადე მომეხშირებინა ნაბიჯები, ის დაღმართები თითქმის ძუნძულით გადმოვლახე, მაგრამ ჭალ მდის მაინც მომასწრო წვიმამ, რაღაცნაირად სულ ჩამობნელდა ცის კაბადონი, მიდამონი თითქოს ელოდენ ავდარის რისხვას. იყო დუმილი საფლავისებური; მერე სადღაც შეირხა ნიავი და წამოვიდა ღვართქაფი...

რა უნდა მექნა... ისევ შემოვიკრიფე ნებისყოფა და გზას გაუდექ.

მატარებელმა გამისწრო ალბად, თბილი ვაგონები მწკრივად გაიჯირითებდენ რელსებზე, გადაირბენდენ მინდვრებს, ხიდებს, მათ სახურავზე თეთრი კვამლი ჩამოწვებოდა და გზის ნაპირად კვლავ ჩასთვლემდა სიცივით მობუზული სადგური.

მე კი მოვდივარ მარტო, ვებრძვი დეკემბრის ქარის ჯიუტობას და გაყინულ ხელებს იღლიაში ვითბობ. ეხლა წვიმის მაგივრად მოდის თოვლი და ყველაფერი თეთრდება, ჯერ კიდევ დიდი მანძილი მაქვს სავალი, ფარაჯა ისე დამისველდა, ტანს მიმძიმებს.

გზებზე ტლაპო ჩნდება. წყალი იღვრება ბევრგან, ადიდებული რუები მდინარეებს ემსგავსებიან. თოვლის თეთრი ფიფქები ჯერ დაფარფატებენ ხან აღმა, ხან დაღმა შემდეგ დაჭრილივით მიწაზე ეცემიან და დგება თოვლჭყაპი.

ვიცი რომ ამ მინდორზე ვინმე მოსახლე იქნება ალბად, ყურს უგდებ თუ ბღავის საქონელი, ან ძაღლის ყეფა ნიავს თუ მოაქ ს, მაგრამ ამაოდ! გარშემო მხოლოდ დუმილია და მეტი არაფერი.

— ნამდვილად დავიღუპე! ვფიქრობ ჩემთვის. მაშინებს ფეხებთან დამტვრეული ფიჩხის ხმაური. მოვათვალიერებ გზის ნაპირებს... და უცებ... ჰოი, ნუ თუ მართალია ყველაფერი ეს? თვალები კარგად ამოვიფშვნიტე და ისე დავაშტერდი. ჩემ წინ მართლა იდგენ მწკრივად აკაციის თეთრი მეერი და უფრო ახლოს ღრმა თხრილი იყო ამოღებული.

მართალია გუნებაზე არ ვიყავი, მაგრამ ზედმეტი სიხარულით ჰაერში კარგი მოცეკვესავით რამდენიმეჯერ შევხტი.

— ყოჩაღ ჩემო თავო! ყოჩაღ ჩემო დიდებულო ბედო!

მე მაშინ მიცინოდა სახე და დიდის კმაყოფილებით უმზერდი მესრებს, თითქოს მზად ვიყავ სათითაოდ გადამეკოცნა ისინი.

ავედევნე თხრილს. მალე ეზოს ჭიშკრამდე მივაღწიე.

მინდვრის შუა გულს მოზრდილი ოდა იდგა. მის გვერდით სიბნელე მეფობდა და მეტი არაფერი სჩანდა, ფანჯრიდან გამოდიოდა სინათლე და ანათებდა ოდის წინ მდგარ უზარმაზარ ხის გაშლილ ტოტებს. სამშვიდობოს ვიგრძენი თავი და იმედიანის კილოთი შემოვძახე:

— მაინძელოო!..

ძაღლებმა მარდად გადმოსცრეს თოვლი და ყეფით დაფარეს ჩემი ყიჟინა.

მასპინძელი გამოეკიდა ძაღლებს.

— ჰეი, ვინ ხარ მანდ?..

— მგზავრი! შემომაღამდა. უბედური გზებია. უბედური ღამეა. იმ შენს ყავრის ქვეშ მომეცი ბინა.

მასპინძელმა პასუხი შეაგვიანა:

— მობრძანდი, შე კაცო! სტუმარი რა... სტუმარი ღვთისაა!

სიტყვების ბოლოს ჩაახველა ნელი ნაბიჯებით წამოვიდა ჩემსკენ. გამომეცნაურა და შემდეგ ოდისკენ წამიძღვა. სახლის კარები რომ შევაღეთ, მე მაშინათვე დავრწმუნდი მასპინძელი შეძლებული ვინმე გახლდათ, სოფლის ბობოლა.

მე გავიცანი მისი მეუღლე და პატარა ქალიშვილი, უკანასკნელის მორთულობამ დიდად გამაკვირვა და თავი ისე უხერხულად მაგრძნობინა, თითქოს იმ წუთებში საჯაროდ უკუღმა ვმჯდარვიყავ მგელზე

მიმიპატიჟეს... შემოუსხედით ბუხარს, გათოშილ ხელებს ცეცხლზე ვითბობდი. ჩემი დახეული ფეხსაცმელით და ძველის ძველი ფარაჯით რაღაცნაირად მრცხვენოდა ამ ხალხის წინაშე.

— რაფერ გაწუწულხარ, შე კაცო? მკითხავს მასპინძელი.

— შორი გზიდან წამოვედი, დავ'ველდი, თანაც დავიღალე, ძალიან დავიღალე... თითქმის მეტი სიარული აღარ შემეძლო.

— მაინც საიდან?!.

— ლაკ·რდიდან! ხომ იცი ლაკარდა? პირდაპირ დაუმთავრებელი გზებია.

ვგრძნობ მასპინძელი მათვალიერებს ფეხის ტერფამდი და მისი მზერა ნემსებივით მესობა ტანზე.

დუმილის შემდეგ ისევ ვეკითხები:

— აქედან სადგურამდე შორია?

— კაი ძალი გზაა, ბიძია! გაგიჭირდება... მე მიკვირს რატომ ფეხით ინებით წამოსვლა?

ცოტა არ იყოს, ირონია ვიგრძენი.

— ეხ! მოწაფე კაცი ვარ... მარტო ღარიბი დედმამა მყავს და აბა იფიქრე სად მაქვს ცხენით სიარულის თავი და შეძლება. ქვეითობას სრულიადაც არ ვთაკილობ·

პასუხი ისეთი კილოთი გავეცი, რომ მასპინძელმა შუბლი შეიკრა, დადუმდა, ჩიბუხი გააბოლა. მე ეხლა ქალები მომიბრუნდენ და ასგვარ რამეს მეკითხებიან. რაღაც წვრილმ ნებს, თავის მოსაბეზრებელს. შემდეგ ისინიც ჩაჩუმდენ...

მადიანად გუგუნებდა ბუხარი, ოთახში საკმაოდ თბილოდა, შუა მაგიდაზე აბაჟურიანი ლამფა ანათებდა და ილიმებოდა. კედლებზე ასგვარი სურათები და მორთულობა. იქვე სუფთა ლოგინები დასაძინებლად იწვევენ თვალებს.

---

# წითელი არმიელები

**ამხ. ვაჩეს.**

„პროლეტ. მწერლობა აყვავების გზაზე შემდგარი
წითელ არმიის დღიურ ყოფას ველარ გვიხატავს,
გამოვიარეთ, გამარჯვების გზები მედგარი,
მაგრამ მას შემდეგრას ვაკეთებთ არვის გინახავთ!“
ეს საყვედური თქვენგან მივიღე,

როს „არმიელთა კომუნა“-ში გვქონდა ნადიმი,
როს მაწუხებდა სინანული ახალ სიმღერის,
ვით კომუნარ მწყემსს მოსეული ხროვა ნადირის.
თვალს ახარებდა შენობები „ლუკაშენი“-ს და
მე თქვენს გმირობას ხელის გულზე თითქმის ვიწერდი,

მეხეთქებოდა სიხალისე თავაშვებული,
წითელ ქორწილში კომუნართა თავდავიწყების.
არმიელ ალეს ახარებდა სახე ანუშის,
მაგრამ მის გულში კომუნის მზე უფრო ღვივოდა,
დამკვრელ შრომაში, მშენებლობის მძლე სიყვარულში

აღფრთოვანება, როცა საზღვარს გადადიოდა.
იყოს უგნური ვისაც ჰგონია
წარვიდენ დრონი არმიელთა გმირულ ლაშქრობის;

მწამს გამარჯვება ჯერ ასეთი ჩვენ არ გვეჯონა,
რადგან დავძლიეთ მშენებლობის წლები ბავშობის.

არმიის წყება დგება ურყევად ყოფის მიჯნაზე,
და დაბრკოლებებს ევლინება გმირულ ბრიგადათ;
ჩვენი ბანაკი ყველა ფრონტებზე ეხლა იმარჯვებს
და ერთი დაკვრით შინამტრები გადაიკარგენ.

გმირთა არმიავ, მეტი რა გითხრა, განა მცირეა
ეს მიღწევები მწერლობაშიც რომ არ ბრწყინავდეს?!

მეც თქვენებრ ვიბრძვი კომუნისთვის თავგანწირული
და ლექსით ვადნობ მკითხველების გულში მყინვარებს.

და ეს ლექსი ხომ—მომცა თქვენგან შექმნილ კომუნამ,

ეხლა, რომელსაც უწოდებენ „წითელარმიელს“,
დღეს ამ ქალაქში ხომ ხუთასზე მეტი კომლია,
რომ მიღწევებით მოკეთეთა გულებს აგმირებს!.
რომ დაბრკოლება ერთი ხელის დაკვრით დავძლიოთ,

მშენებლობაშიც გაბედვაა საჭირო თურმე,
მხოლოდ ფხიზელი მემანქანე ეკლიან მანძილს
გადალახავს და უვნებელად გზებს გადაურბენს.

ამჟამად ჩემთვის გამარჯვება მხოლოდ ის არის
თუ კი სტრიქონებს კომუნისტურ სიწრფელეს ვაჩენ,

მას წაიკითხავს არმიელი და კომისარი
აღაფრთოვანებს კომუნის გმირს ამხ. ვაჩეს.

ეხლა ამგვარი ბრძოლა არის ყველაზე მკვეთრი,
რომ მშენებლობას ქედს უმ გრებს რიგი არმიის;
ჩემი სიმღერაც კომუნართა სიმღერას ერთვის
და მხედრულ გრძნობის ჟრუანტელი ტანში გამივლის.

გაიხსენებენ მოძმის სახელს მეტი ხალისით,
კომკავშირელნი კომუნართა რიგის წევრები,
გაუბრწყინდებათ მაშინ გული, როგორც აისი,
საქართველოდან, რომ მიიღებენ ამ ღია წერილს.

„ჩვენში კვლავ ყვავის თქვენი ხსოვნა ტკბილ მოგონებად,

მეზობელ ქვეყნის კომუნების მტკიცე გმირებო,
კვლავ თქვენსკენ არის ჩემი გრძნობა, ჩემი გონება,

კულტივატორო, ტრაქტორო და კიმბაინებო!“...

**კალე ბოგოხიძე.**

— მაინც ამ სოფელში თქვენზე მეტი ვინმე თუ სახლობს!

— რატომაც არა! აი, იქით ტყის ნაპირებზე, გზების მოშორებით, სახლობენ სხვებიც, მაგრამ მგზავრი აბა როგორ მიაგნებს მათ ბინამდე!

— რატომ აქ არ სახლობენ გზასთან?!

— რა ვიცი. როგორ გითხრა. ქვეყანა არეულია, მათაც ეშინიათ. ვინ იცის, ვინ გამოივლის ამ გზაზე: ოსი, თათარი, ქურდი, ჯიბგირი თუ ავაზაკი და მძარცველი, მართალი გითხრათ მეც მეშინია, მაგრამ ქე ვარ ჯერჯერობით!

— ეს საოცარია. ტყუილია. გზის პირად ოსს და თათარს რა უნდა ეხლა? ეგ მოჭორილია

— რა არის საოცარი? თუ გინდ კარგი უცხო ხალხს თავი დავანებოთ. ჩიჩიეს ნაშიერი, გუშინდელი მოჯამაგირე დღეს ჩვენი პატრონია. გული ჯავრით გაგისივდება და შენ ხმასაც ვერ ამოიღებ, გამჩენსაც ვერ შეიგინებ. ასეთ ყოფას სჯობია სადმე ტყეს შეეხიზნო. დაიმალო...

— ჰო.. ეს არაა მართალი მასპინძელო. ასე არავის ახრჩობენ ამ სოფელში. შენსავით ორი კაცი თუ მსჯელობს თემში, დანარჩენები ხომ ისინია შენ რომ ჩიჩიეს ნაშიერებს ეძახი. გუშინ წინ მათ უფრო მეტს უშვრებოდენ, სამპირ ტყავს აძრობდენ, დედასაც აგინებდენ, ბევრ მათგანს „ხაზეინები“ ათეულ წლობით ამუშავე დენ ლუკმა პურისთვის და შემდეგ ბებერს გამოფიტულს, როგორც უვარგისს, ქუჩაში აგდებდენ. ხომ იყო ეს ასე? ხომ იხოცებოდენ მერე ის მოხუცები სიმშილით, ტყის ნაპირებთან, ან უბრალოდ თემშარაზე. დღეს კი ძალა მათია, ძველი ხაზეინები ზედმეტი მუწუკები შეიქმნენ და უნდა მოიკვეთონ. ნამეტან დორბლს ყრით მასპინძელო.. გასაგებია...

— შენ... ბარტყი ხარ! შენ რა იცი თვალები დახუჭული გაქ!

შენ ვიღაც მოსყიდული ხარ! შენ...

კამათში ქალებიც ჩაერივნენ:

— რა ამბავია თოლიგე! განა სტუმარს უნდა ეჩხუბო? სტუმარს პატივისცემა უნდა! სტუმარს ზრდილობით ექცევიან. სტუმარს არ აგინებენ.

— ბაბაია, რატომ იცი ასე უცაბედი გაგულისება!..

მამა მიაშტერდა თავის ქალიშვილს რაღაც სათუთ ლმობიერი თვალებით. მერე თავი ჩაქინდრა. ულვაშები შეისწორა. ბუხარში გადააფურთხა.

— კი არ ვჩხუბობ, კაცო!.. რა მაქვს საჩხუბარი... ჩვენ ისე ვამბობთ საერთოდ...

სიჩუმე გამეფდა. ისმის მეორე ოთახში როგორ აკაკუნებს ჩამოყონილი წვიმის წვეთები. გარედ კი ოდის ბოყვებთან კივის და ხმაურობს ზამთარი.

კარგა ხან პაუზის შემდეგ მასპინძელი ისევ ალაპარაკდა, დრო მიდის, ის კი ჰყვება რაღაც ავანტიურისტულ თავგადასავ ლს და ყველაფერს ასე ათავებს:

— ჰაი-გიდი ჩემი ახალგაზრდობა. აქ რომ საღამოს ფეხი დამიკრავს გამთენიამდე აფხაზეთში ჩავსულვარ და არუბებისთვის ცხენი თავლიდან გამომიყვანია. ეხლანდელი ახალგაზრდობა! ჰმ... რა არის ეხლანდელი ახალგაზრდობა! მობიჭდა ხალხი... მერე მე მომიბრუნდა ისევ ლე:

— კარგი, მარა, რა წერია გაზეთებში რას ლაპარაკობენ!

— მშვიდობა! უპასუხე დაბალი ხ[მ]ით.

მასპინძელი იჭვის თვალით მიყურებს.

— ჰაი გიდი, რა ტყუილები დადის ქვეყანაზე!

— რატომ ამბობ მაგას?

— აბა ვითომ რა მშვიდობა მოვა! მეტი არაა ჩემი მტერი! ის კი არა გვეუბნებიან ყველა ერთ სახლში უნდა შეგყაროთო, ერთ ლოგინ ქვეშ:

— აპა-პა, ეს მოჭორილია! ეს არ შემიძლია დავიჯერო! ასე კი არ იქნება... გააერთიანებენ მიწას, ხარს, სამუშაო სახსრებს, მერე ქონებას, მერე ერთ დიდ სახლს ააგებენ, მერე...

— ვიცი... ვიცი არ მინდა ბატონო. მე ქონება უნდა გავაერთიანო!

ჰმ, მამა გიცხონდათ...

— მერე თქვენ რომ ქონება გაქვთ, საიდან გიშოვნიათ?

— როგორ თუ საიდან? ვმუშაობდი ხ[ე]ლებ დაკაწიწებული, ოფლად ვიღვრებოდი, ისინი კი მაშინ ბანქოს თამაშობდენ, ოხუნჯობდენ, ეძინათ.

— ვითომ!?. ხომ გყავდათ მოჯამაგირე?!.

— არა! არასდროს! მე არ მახსოვს!

— ბაბაია როგორ არ გახსოვს! ვაიმე ჩვენი გუჯუია არ გახსოვს. კვირაობით ქალაქში შეშა რომ დაჰქონდა, ნაღვლიანი სიმღერა რომ იცოდა... უჰ ღმერთო ჩემო, როგორ მღეროდა. ქალაქიდან ალებულ გროშებს მოიტანდა, მერე წისქვილში წავიდოდა...

გულუბრყვილოდ გაახსენა პატარა ქალიშვილმა მამას, უკანასკნელმა სამაგიეროდ სისხლით დატენილი თვალებით შემოხედა და მერე ისევ მრისხანედ მომმართა მე:

— თუ გინდ მყოლოდა, მერე რა!

— წისქვილიც გქონიათ.

— შინთვის ხომ არ წამირთმევია.

— რატომ არ შეიძლება ამ ქონების პატრონად შენს მაგიერ მისი შემქნელი დარჩეს..

— ჰაიტ! ვიღაც კუბაქი ხარ, უმადური!

— კუბაქი კი არა, მე ერთი უბრალო მოწაფე კაცი ვარ!

— გაეთრიეთ... წადით, დასცალეთ ოჯახი! აქ რა გინდა შენ! ჩიჩიების ნაშიერებთან ათიე ღამე. გესმის გაეთრიე... თორემ დედი ჩემის სულს ვფიცავარ!..

კედელზე კიდია ხანჯალი. იქვე გრძელლულიან ფილთა და ვერცხლის ყურებიანი სარტყელი. კარებთან მასპინძელს დარაჯობენ ძაღლები, მასპინძელი ძალლივით იღრინება და მის ძარღვებში სისხლს ეკიდება ცეცხლი.

ავიღე ჩემი სოველი ფარაჯა. ჩამოუყევი კიბისკენ. მხოლოდ ერთხელ მივაძახე მრისხანედ: — სულ ერთია ეს ვერ გიშველის. ის „ჩიჩიეს ნაშიერები“ რომლებთანაც მე ეხლა არ ვთაკილობ წასვლას, მოვლენ ერთ დღეს და აქაურობას დაეპატრონებიან. კარები მაგრად მივაჯახუნე.

მშვიდობა არ მითქვამს. წამოვედი. კიდევ ცოტა ხანს მესმოდა მასპინძლის გინება...

თოვლით დაძონძილი ხეები გარინდებით მიხდებოდენ. თეთრი პეპლები ისევ დაფარფატობდენ ხან აღმა, ხან დაღმა. წაშლილიყო გზები და ირგვლივ სრული მყუდროება მეფობდა...

გამთენიისას, როცა სადგურამდე ძლივს მოვახწიე, ნიშანსვეტთან დილის მატარებელმა ჯეიოანივით დაიბღავლა და განუზომელი სიხარული მაგრძნობინა.

* * *

გავიდა რამდენიმე ხანი, ისევ იმავე გზით გამოვიარე. ის სახლი, სადაც ერთ დროს ღამე არ გავათიე სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. იქ ეხლა კოლექტიური ცხოვრება მიმდინარეობს. ძველი პატრონიც აღარ სჩანდა.

**მ. გვასალია.**

# მუშა გამომგონებლები

გორის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მუშაობს მოხუცი მუშა ბესარიონ დათიკაშვილი. იგი გამომგონებელია. ხანგრძლივი მუშაობის და დაკვირვების შემდეგ მან შეიტანა მრავალი გაუმჯობესება ხის სახერხ იარაღ-მანქანებში, გამოიგონა დაზგა რომელიც აადვილებს რკინის მოღუნვას, შეიმუშავა მანქანა ხის ყუთების დასამზადებლად და მრავალი სხვა. მაგრამ ყველა ეს გამოგონებანი და გაუმჯობესებანი რჩებოდა და ეხლაც რჩება ბესარიონ დათიკაშვილის ოთახში.

— მე არ მინდა ჯილდო და ფული, მხოლოდ ცუდია, რომ მუშის გამოგონებას არ ექცევა ყურადღება, რადგან ამ გამოგონებას შეუძლიან გაადვილოს შრომა და შეამციროს ხარჯები—ბევრჯერ უთქვამს მოხუც დათიკაშვილს. საქართველოში ბევრია ისეთი მუშა, როგორც დათიკაშვილი. ჩვენი სამეურნეო ორგანოები სათანადოთ არ აფასებენ მუშების ინიციატივას. ახშობენ მას და უბორკავენ გამომგონებლებს ხელ-ფეხს.

მუშა-გამომგონებლების სსრ. საქართველოს პირველმა კონფერენციამ გამოაშკარავა გამომგონებლობისადმი ბიუროკრატიული და უსულო დამოკიდებულების მრავალი ფაქტები. მუშების წინადადებები არ იხილება რამოდენიმე წლების განმავლობაში, არ არის მიღებული ზომები



მუშა-გამოგონებელი ბესარიონ დათიკაშვილი.

გამომგონებლების წასახალისებლად. არ[ს]ებობს ე. წ. მუშა-გამომგონებლობის დამხმარე კომისიები, რომლებიც, დახმარების ძაგივრად, ხელს უშლიან გამომგონებლებს.

მუშა-გამომგონლების პირველი კონფერენცია, რომელიც თავის-თავად წარმოადგენს ღირსშესანიშნავ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში, იქონიებს უდიდეს გავლენას გამომგონებლობის საქმის შემდგომ განვითარება-გაუმჯობესობაზე. კონფერენციის დადგენილებები უკლებლივ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

ჩვენმა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ ყურადღება გამომგონებლობის საქმეს და სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ დაშვებული შეცდომები ამ დარგში.

რაც მთავარია მუშა-გამომგონებლებს უნდა გაეწიოს ხელმძღვანებლობა. აქ კი საჭიროა ინჟენერ ტეხნიკოსების დახმარება. ბევრმა გამომგონებელმა არ იცის ნახაზების შედგენა და მიტომ კომისიები არ იხილავენ ასეთ მუშის წინადადებას, ისინი მოითხოვენ ნახაზების წარდგენას.

მუშა-გამომგონებლები უნდა დავეხმაროთ იმ დაბრკოლებების გადასალახავათ, რომლებიც წინ ეღობებიან სამრეწველო-საფინანსო გეგმის განხორციელებას.

**ლი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე ლორთქიფანიძე

## „ახალი გლეხები“.

რეკონსტრუქციის პერიოდის დაკვრითი ტემპს მხატვრული მწერლობა ვერ უსწორებს ნაბიჯს. ეს მოვლენა ვრცელდება პროლეტარულ მწერლობაზედაც, მიუხედავათ იმისა, რომ მას ყველაზე მეტად მოწინავე პოზიციები უჭირავს, ცხოვრების მსვლელობასთან დაახლოვების ხაზით.

მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ძალთა მობილიზაცია, განუზომელი რევოლიუციონური ენტუზიაზმი, ძირეულად ცვლის ქალაქის და სოფლის სახეს. საბოლოოდ ნ დგურდება ძველი სოფელი. დაკვრითი ტემპით მკვიდრდება შრომის კოლექტიური ფორმები. საუკუნოებით განმტკიცებული, მიწის პატარა ნაჭრებისადმი მონობა წარსულს ჰბარდება. ახალი გლეხები აწარმოებენ თავგანწირულ ბრძოლას სოფლად სოციალისტური სექტორის ზრდისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენს მწერლობაში ჯერ კიდევ წვრილმესაკუთრეთა რომანტიული სევდა სჭარბობს - ვიდრე კოლმეურნეობათა გმირების რევოლიუციონური ენტუზიაზმი. პროლეტარული მწერლობა გამონაკლისს შეადგენს—ამ წარსულის დამტირებელთა მოციქულებისაგან, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მან ჯერ კიდევ ვერ შესძლო ისე გაეძახვილებია და გაეღრმავებია თავის მუშაობა, რომ მკვეთრ მხატვრულ სახეებში ეჩვენებინა ის თავდადებული ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობს ეხლა, როგორც სოფლად ისე ქალაქად. ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა შემოქმედებითი მუშაობის ფორმების გამრავალფეროვანება. მარტო ლექსით და მოთხრობით არ შეიძლება გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობის ჩვენება და მისთვის აქტიური დახმარება. საჭიროა მოქნილი, ცოცხალი და მახვილი ფორმების და ჟანრების გამომუშავება. აუცილებელია საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიმახვილე. ამ მხრივ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მხატვრულ მწერლობის ერთ-ერთ სრულუფლებიან ჟანრს—ნარკვევს.

სინამდვილე ყოველდღიურად იცვლება, ვითარდება, მრავალფეროვანდება. ნარკვევი ყველაზე უფრო ახერხებს ამ მოძრაობის მაჯისცემის ათვისებას, დაკვრითი ტემპებისადმი კვალ და კვალ მიყოლას. ესაა მიზეზი, რომ უკანასკნელ ხანებში ნარკვევის „მოქალაქეობრივი უფლებები“ თანდათან იზრდება. განსაკუთრებით პროლეტარული მწერლები იწყებენ ამ ჟანრით მუშაობას.



კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ნარკვევი პირადი დღიური არ არის და არც ფაქტების მშრალი რეგისტრაციაა. ზოგიერთები ცდილობენ ნარკვევს წაართვან „მხატვრულობის“ უფლებები. ეს შემცდარი აზრია. ნარკვევში ორგანიულად შეერთებულია პუბლიცისტურ-პოლიტიკური სიმახვილე, მხატვრული სისადავე და დამაჯერებლობა. ნარკვევის მწერალს სჭირდება ორგანიულ-საზოგადოებრივი აქტიურობა, მხატვრის ალღო და თვალი. ამ გარემოებას სანიმუშოდ ამტკიცებს პროლეტარული მწერლობისაგან ნარკვევის ჟანრში ყველაზე მეტად ნაყოფიერად და კარგად მომუშავე კ. ლორთქიფანიძე. „ახალი გლეხები“ მნიშვნელოვანი ნიმუშია ახალი სახის ნარკვევისა. ის იკითხება შეუნელებელი ინტერესით. კ. ლორთქიფანიძემ შესძლო ძლიერის ოსტატობით, მომჭირნეობით, ეპიზოდების, სურათების მთლიან ფონზე ჩვენება; ძირითადის დიდი პლანით წამოწევა და მკითხველის ყურადღების დარაზმვა საჭირო მიმართულებით. „ახალი გლეხები“-ს თემები მოთხრობების და რომანების სათავეებია. მწერალის დამსახურება იმაშია, რომ ის მოკვეთილად და ამომწურავად შლის სამიმოხილვო თემას. მკითხველი არ იგრძნობს დანაკლისს, პირიქით რწმუნდება ამ ჟანრის კარგი ნიმუშის უპირატესობით. ამის მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ ნიმუშად ავტორის მიერ ძლიერი სიმახვილით ნაჩვენები ძველი ინსტიქტების ჯანყი გლეხის ბუნებაში. კოლექტივში შესული გლეხი ქალის მარიამის სურათი, რომელიც კოლექტივშიაც „თავის“ ძროხებზე ზრუნავს და მათ მისტირის, — განსაკუთრებული სიმკვეთრით არის მოხაზული. ის უბრალოდაა ნაჩვენები, მაგრამ ნამდვილი და დაუვიწყარი სახეა მოცემული. მწერალს მოუნახავს სიტყვები, შტრიხები იმის საჩვენებლად რაც მან შეამჩნია, შეხედა.

„ახალი გლეხები“-თ კ. ლორთქიფანიძემ დაამტკიცა, რომ მას აქვს პროლეტარული მწერლობისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი აქტიურობა, მხატვრის მახვილი თვალი და ნამდვილი და არა მშრალი ლიტერატურული ინტერესი გრანდიოზული სოციალური ძვრებისადმი. ეს გარემოება ავალებს მას გააღრმაოს მუშაობა ნარკვევის ჟანრში—რომ ის აიყვანოს მაღალ საზოგადოებრივ-მხატვრულ სიმაღლეზე.

**ბენ. ბუაჩიძე.**

---

# წითელარმიელს

თორმეტი წელია,
რაც შენ დაიბადე,
რაც ბებერ მსოფლიოს
სცემ შიშის ზარს
და სადარაჯოზე,
კლდესავით ურყევი,
მხნედ იცავ საბჭოთა
მთასა და ბარს!
წითელარმიელო,
ძლიერო,
მედგარო,
იყავ სანეტარო—
წინ გასწი,
წინ,
ლაჩარს
არ ედარო
იყავ უებარი,
ბევრი გყავს
მყეფარი
გარეთ და...
შინ!
შორს შენგან
ვარამი,
გაშალე
ალამი,
მზეს მიესალმე,
მზეს წითლად
შლილს;
ალმართე
მახვილი,
გ[illegible]ვინწით და
ძახილით
ეკვეთე
მოსისხლეს
სძლიე სიკვდილს!
ჩვენს საზღვრებს
დღე-ღამე
შორიდან ზვერავენ,
გველური სისინით
ანთხევენ შხამს,
მაგრამ ჩვენს
სიმაგრეს
ვერ გადმოსთელავენ,
მზათა ვართ
ყველანი
ნიადაგ ჟამს!
წითელო მხედარო,
რისხანე,
მედგარო,
ლაჩარს არ ედარო,—
წინ გასწი,
წინ!
ბრძოლებში
ქებული,
გულ-გაკაჟებული,
ფხიზლად იდარაჯე
გარეთ და შინ!
თორმეტი წელია,
რაც შენ დაიბადე,
რაც ბებერ მსოფლიოს
სცემ შიშის ზარს
და იარაღის ქვეშ,
კლდესავით ურყევი,
მხნედ იცავ საბჭოთა
მთასა და ბარს!

**გ. ქუჩიშვილი.**

# დანიელ ჭონქაძე

დანიელ ჭონქაძე, რომლის დაბადებიდან 100 წელი სრულდება, დაიბადა, იცოცხლა და მოკვდა ბატონყმობის დროს. ის იმ დროინდელ ქართველ მწერლებს შორის პირველი იერიშის მიმტანია ბატონყმობის წინააღმდეგ. ბატონყმობის დროს იყო ქართული მწერლობა და იყვნენ ქართველი მწერლები. ერთიც და მეორეც არსებითად თავადაზნაურობის ფრონტს წარმოადგენდა. მწერლები თავადაზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსულნი და მწერლობაც თავის შინაარსით ამ კლასის სულიერი განწყობილების გამომხატველი იყო.

დაბეჩავებულ და უზომოდ გაყვლეფილ გლეხობას იმ ხანებში განათლების კარები მაგრად ქონდა გამოხურული. ის საამისო დროსა და საშუალებას მოკლებული იყო. განათლება კი არა მაღლა ზეცაში ვერ აიხედნა, ისე თავჩაქინდრული პირუტყვივით მუშაობდა. ადამიანურ ცხოვრებას განატრებულთ ფიქრიც კი არ შეეძლოთ განათლებაზე.

დანიელ ჭონქაძე მარტო იმით კი არ არის ღირსშესანიშნავი პიროვნება, რომ მან პირველმა და პირველად შეიტანა იერიში ბატონყმობაზე, არამედ იმითაც, რომ პირველი მწერალია გლეხთა წრიდან გამოსული. კეკელიძე-ერისთავმა ისე დაიწყეს და დაასრულეს თავიანთი მწერლობა, რომ ბატონყმობას, როგორც მაშინდელი ეპოქის უდიდეს სოციალურ უსამართლობას, არც კი შეხებიან. ისინი პირიქით იმ ტოტზე ისხდნენ, რომელსაც ბატონყმობა ეწოდებოდა და აროდესაც კი არ მოსდიოდათ ეს ხე თავის ტოტებიანად ძირში მოეჭრათ. მათში უფრო გაბედულნი და პროგრესიულად განწყობილნი თუ ნაკლოვანებას დაინახავდნენ, წვრილმან უარყოფით მხარეებს შეამჩნევდნენ, ფეოდალურ ცხოვრებას კბილს გაკრავდნენ, ესეც დიდ რამედ ითვლებოდა.

დანიელ ჭონქაძე თავის თანამედროვე მწერლებიდან ლიტერატურული საგნისადმი მიდგომით და აგებითაც გაირჩევა. მის ხელში ლიტერატურა გართობის საგანი არ არის, ის ხალხის სამსახურის უდიდესი საშუალებაა. ასეთი მიდგომის შედეგად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მან ბატონყმობის მთელი სისტემა უარყო და ყველაფერში გააწბილა ის. მწერალმა გაბედა, [illegible] აზრით და დიდი ოსტატობითაც შეარჩია ბატონყმობის ისეთი მომენტები, რომელიც მკითხველ საზოგადოებაში საშინელ ზიზღსა და აღშფოთებას გამოიწვევდა.

დანიელ ჭონქაძემ ნიშანში ამოიღო და პირდაპირ ესროლა ყუმბარები იმას, იმ ინსტიტუტს, რომელიც საშინელ მონობის უღელს ადგამდა ხალხს კისერზე. ის პალიატივებით არ კმაყოფილდებოდა და მას მიზნად ქონდა არა ივანეს სიმკაცრე შეენელებია და პეტრე აეძულებია გაფუქსავატებულ ცხოვრებაზე ხელი აეღო, არამედ ივანე და პეტრე ორივე დაეცხო და გაენადგურებია. მას ქონდა ბრაზი და გახელება თავის კლასის, მან ეს აზრი და გახელება განსაზღვრულ იდეოლოგობამდი განავითარა. ის ბატონყმობის ძირძველ უღლის ქვეშ მგმინავ კლასის პირველი იდეოლოგი იყო.

მისგან გასროლილი ყუმბარები მიზანს მოხვდა, ჰაერში არ დაკარგულა, საშინელი ხმით გასკდა. შეშფოთდა დამდორებული ჭაობი. ვერ მოითმინეს იმის ასე თავხედურად შეურაცხყოფა, იმის ასე უხეშად გაწბილება, რაც მამაპაპიდან მოყოლებული წმიდათა წმინდათ და ღვთით დაკანონებულად მიაჩნდათ. ვინ ხეპრე ბედავს ბატონყმობის წინააღმდეგ სიტყვის დაძვრასო. ის ხომ გარდაუვალი და მუდმივი სიმაღლეა. დაკრეს ბუკი და ნაღარა და ბატონების წინააღმდეგ ასეთი პასკვილების ავტორი დაუყოვნებლივ მოაცილეს ჟურნალის ფურცლებს და ზოგიერთი ცნობებით მტკვარშიაც კინაღამ დაახრჩვეს.

დანიელ ჭონქაძის ერთად-ერთი ნაწარმოები ეს მისი „სურამის ციხე"-ა. „სურამის ციხე" ბატონყმობის წინააღმდეგ გაბედულ და სასტიკ პროტესტს წარმოადგენს. „სურამის ციხით" მოცემულია ბატონყმობა, როგორც საშინელი ბნელეთი, უკუნი წყვდიადი, უხეში ძალმომრეობა, აღვირაშვებული თვითნებობა და ტირანია, გლეხთა ფიზიკური არსებობის საფრთხე. გლეხი უსულო საგანთან არის გატოლებული. შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცინვა, პირუტყვულ მდგომარეობაში ყოფნა, აი მისი ხვედრი, მისი თავაუღებელი მუშაობის ჯილდო. მას თუ გრძნობა აქვს, სიყვარული იცის, ბატონს ეს ვერ წარმოუდგენია. დაბალ არსებას, პირუტყვის ტოლს ასეთი კეთილშობილური გრძნობები როგორ შეიძლება ქონდესო. ამიტომ ის ყმის ოჯახს დაშ-





**დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო**

ლის, ყმის ოჯახის კერიას ჩააქრობს, ოჯახის წევრებს სხვადასხვა კუთხეებში გააჩუქებს და გაყიდის. არავითარი თხოვნა, ვედრება და დედის ცრემლები საქმეს ვერ შველის. ბატონის გულს ვერაფერი ვერ მოალბობს, ვერაფერი ვერ გაალხობს. გლეხი ხომ ადამიანი არ არის რომ შეიბრალოს, მას ანგარიშში გაუწიოს. საკმაო მეიქნა რომ ყმის ბავში დურმიშხანი სტუმრად მოსულ მუხრან ბატონს მოეწონებოდა, რომ მისთვის ფეშქაშად მიერთმიათ.

კიდევ უარესი ბედი ხვდა ოსმან აღას. ის ქართველი გლეხია, ოდესღაც ნოდარი რომ ეწოდებოდა. მის ოჯახს მამის სიკვდილის შემდეგ ბატონმა ჯერ ვენახი წაართვა, მოვლა არ შეგიძლიანთო, მერმე თითო-თითოდ ხარკამეჩები და ბოლოს დედამისი შინამოსამსახურედ გადაიყვანა. ბევრი იტირა და ცრემლები ღვარა დედამ, მაგრამ ბატონის ქვაგულს დედის ცრემლები კი არა ზღვაც ვერ გაალღობდა.

ბატონმა ესეც არ აკმარა საწყალ დედას. მისი ღვიძლი შვილები ნოდარი თავისი დით ვიღაც მღვდელს მიყიდა, დედას უბრძანა ბავშვები გაამზადეო. გამწარებული დედა სხვა გამოსავალს რომ ვერ ხედავს ღამით გაიპარება და თბილისს მიაშურებს. დედის ცრემლები გულქვა ბატონს სიცილადაც კი არ ყოფნის. მან იცის რომ დედა იტირებს, იტირებს და შემდეგ დაჩუმდება. აქ არაჩვეულებრივი არაფერია.

მაგრამ მოხდა არაჩვეულებრივი. დედა ბატონის ნებას ეურჩა. ცრემლებით რომ ვერაფერი გააწყო გაპარვით უშველა თავს. ბატონისათვის რომ გზა-კვალი აებნია ის თბილისში თავის თავს და თავის შვილებს სახელსა და გვარს უცვლის. ხუთი წელი შეინახა თავი ქვრივმა დედაკაცმა. 5 წლის შემდეგ ერთ მარიობისთვეში დედა მოინდომებს თავის ზიარებას. მღვდელს აღსარების დროს თავის საიდუმლოებას განუცხადებს. საღამოს დედაშვილს აპატიმრებენ და თავიანთ ძველ ბატონს მიგვრიან. ბატონი მათ უმასპინძლდება სხვადასხვა სასტიკი ტანჯვით. ბრძანებს რომ ისინი პირუტყვის ნაცვლად გუთანში შეაბან. დაადგამენ უღელს კისერზე და მათრახის ცემით გარეკავენ კვალში. ბატონს ეს სასჯელიც მსუბუქად ეჩვენება და მეორე დღეს იმათ კევრში შეაბამენ. კევრზე თვითონ დაჯდება ბატონი და მათრახის ცემით გარეკავს დედაშვილებს. ამოსუნთქვისათვის რომ ცოტა ხნით დამდგარიყვნენ მაშინვე სახრეს მისცემდა. დედამ ათჯერ შემოურბინა კალოს, მაგრამ მე-11-ჯერ ველარ გაუძლო და იქვე დალია სული. ბატონს ეგონა თავს იმკვდარუნებსო და მკვდარს სახრით დაუწყო ცემა. აი როგორი იყო ბატონის სამართალი და კანონი.

მსახურობს ნოდარი თავის დედის მკვლელ ბატონთან. აქ მას შეუყვარდება ბატონის სახლში მოსამსახურე მასავით გამწარებული ნატო. ნოდარი განუცხადებს ბატონს თავის სურვილს ნატოს შერთვაზე. ბატონი უარზეა. მასხრადაც იგდებს. [illegible], თითქოს ბატონიშვილი იყვეს, [illegible] სხვა არ მოგეწონებაო, წადი დაიკარგე აქედანო: არც მოსამსახურეს გაუშვებ შინ და არც შენ მოგცემ ნებასო. ბატონს აქამდე არ ენახა ნატო. დაინტერესდა ამ შემთხვევით. ნახა. გული ჩაუვარდა. თვით მოეწონა, გადასწყვიტა ქმრის მოკვლა, ერთი ღამით ხელში ჩაგდება, შეუხდა, მოიტაცა, დაუწყო ტრფიალი. ქალმა სიამოვნებაც არ გაიკარა.

ბატონმა სხვა ხერხს მიმართა. ნოდარი მახლობელ სოფელში გაგზავნა. ქალს ძალით მიუხტა და გააუპატიურა. ქალმა ვერ გაუძლო უბედურებას და წყალში თავი დაიხრჩო. დაობლებული ნოდარი მთელ ბატონის ოჯახს ამოწყვეტს და ახალციხით ოსმალეთს მიაშურებს. იქ სარწმუნოებას გამოიცვლის და ვაჭრობას მოკიდებს ხელს, ოსმან აღად გახდება.

ასეთია ბატონყმობა, თავისი ბატონებით ბატონობისა და მეფეების ერთგული მსახურებით. ეს ბნელეთის სამეფო ძირფესვიანად უნდა დაინგრეს. აი დანიელ ჭონქაძის ყვირილი, არა რემონტი, არამედ დანგრევა; ძირფესვიანად აღგვა დედამიწის პირიდან.

70 წელიწადია რაც დანიელ ჭონქაძე გარდაიცვალა. 75 წელიწადია რაც „სურამის ციხე" დაიწერა, მაგრამ დღესაც ყველაზე უფრო საყვარელი და ხალისით საკითხავი წიგნი დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეა".

„სურამის ციხე" ეს რევოლიუციაა ქართულ ლიტერატურაში. ეს უდიდესი ეპოქის დაწყებაა. ეს [illegible] ახალ გზაზე და [illegible] და ამიტომ არის რომ დანიელ ჭონქაძემ ამ ერთადერთი ნაწარმოებით ხელთუქმნელი და სამარადისო ძეგლი დაიდგა.

მ. რ.

# მუშათა თანასწორობისა და თვითმოქმედების უბანი

ფიქრის გორა საკმაოდ ცნობილი ადგილია თბილისელებისათვის, განსაკუთრებით ვერის უბნელებისათვის. ქალაქის საქმიან ნაწილისაგან განმარტოებული ფიქრის გორა საკმაოდ ფართო და განიერი ვაკე ადგილია, საიდანაც როგორც ხელისგულზე, მოსჩანს ვერის მხიარული ბაღები და პატარა მდინარე ვერა, ხოლო შორს, ჰორიზონტზე, ამაყად გამოიყურება თეთრი მყინვარი.



ლენინის სახელობის ამხანაგობის 12 ბინიანი სახლი.

ახლა.., ახლა სულ სხვა ფერისა და იერის არის ფიქრის გორა. მონობიდან ულლისგან განთავისუფლებული მუშა ხალხი მარტო ფიქრითა და ოცნებით ვერ კმაყოფილდება. მას საქმე, მოქმედება, გაქანება, თავისი ნებისა და უნარის გამოჩენა უნდა; მუშათა კლასის თითოეულ კოლექტივს სურს დაღი დააჩინოს, კვალი დასტოვოს, თავისი წვლილი შეიტანოს დიად სოციალისტურ აღმშენებლობაში, რომლის ირგვლივ თავს იყრის ყველა ჭეშმარიტი რევოლიუციონერი, ყველა მუშა და მშრომელი გლეხი, ყველა პატიოსანი მოქალაქე, რომელსაც ჩვენი აღმშენებლობა, ჩვენი წინსვლა თვალს კი არ სჭრის, ზიზღითა და ბოღმით კი არ ავსებს მის გულს, არამედ სიხარულითა და სიამით ივსება, იმედითა და სასოებით შეჰყურებს მომავალს და იძახის — ყოჩაღ, ყოჩაღ, მუშავ და გლეხო, თავდადების, თანასწორობის, შრომისა და ბრძოლის დაუშრეტელო წყაროვ, „საზოგადოების" ერთადერთო ჯანსაღო ნაწილო, რომელიც მოწოდებული ხარ იხსნა კაცობრიობა გახრწნისა და დაცემისაგან, გახაგრძე ბრძოლა და შრომა ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

დიახ, სულ სხვა, ახალ სურათს, იძლევ დღევანდელი ფიქრის გორა. აქ, ლენინის სახელობის საბინაო-საამშენებლო ამხანაგობას გაუმართავს თავისი შტაბი და თავდავიწყებით ემსახურება თავის მიზანს.

1922 წელს, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ერთი წლის შემდეგ, დაიწყო მოქმედება ლენინის სახელობის საბინაო-საამშენებლო ამხანაგობამ. ერთი წლის შემდეგ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, რამდენიმე პატარა, „კოტეჯის" ტიპის სახლი წამოიჭიმა ფიქრის გორის ერთ კუთხეში. ეს იყო პირველი ყვავილი, პირველი ნიშანი ამხანაგობაში გაერთიანებული მუშების თვითმოქმედების და თანასწორობის.

მალე ერთბინიან პატარა სახლებს მოჰყვა ორ და ოთხსართულიანი სახლები, შემდეგ —უფრო დიდი მკვიდრი შენობები და ფიქრის გორა მუშათა სახლებით მოიფინა სავსებით. სულ ამჟამად ამ ახლად გაშენებულ მუშათა უბანში ათი დიდი და პატარა სახლია აგებული, რომლებშიაც სცხოვრობს 36 ოჯახი, თითო ოჯახს კი უჭირავს 2-3 ოთახიანი ბინა.

(ამხანაგობას კიდევ აქვს ორი სახლი, რომელიც შეიცავს 36 ბინას).

სულ ლენინის სახელობის ამხანაგობაში 200-მდე სრულუფლებიანი წევრია გაერთიანებული, რომელთაც მეტანილი აქვთ 60,000 მანეთამდე. ამხანაგობის უძრავ-მოძრავი ქონება კი 300.000 მანეთს უდრის.

ამხანაგობას დიდი პერსპექტივები აქვს. მას ყოველთვე, ყოველკვირა და ყოველდღე აუარებელი განცხადებები მოსდის წევრად მიღების შესახებ. მასვე უერთდება მრავალი წვრილი საბინაო-საამშენებლო ამხანაგობები და, უნდა ვიფიქროთ, რომ სულ ახლო მომავალში ლენინის სახელობის ამხანაგობა უდიდეს და უძლიერეს ამხანაგობათ გარდაიქმნება მთელ თბილისში.

ამხანაგობას ამჟამად თავისი მოქმედება მახლობელ უბნებში — ვაკეში და სხვაგან გადააქვს, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ფიქრის გორა ამჟამად სავსებით მოფენილია გაოეგნულად ლამაზ, კოხტა და სუფთა შენობებით.



ფიქრის გორაზე მუშაობის დროს მუშათა ბინებზე.

ბინის შინაგანი მხარეც და ოთახების განაწილებაც შეეფერება სახლების გარეგნობას. თითოეული ბინა შესდგება 2-3 (უფრო კი 3) ოთახისა, სამზარეულოსა, აბაზანისა და შუშაბანდიანი აივნისაგან. საცხოვრებელი სივრცე თითოეულ ბინაში უდრის 50-60 კვადრატულ მეტრს. ოთახების კედლები, ჭერი და იატაკი სადათ და სუფთად არის შეღებილი და მობინადრენიც, შეძლებისდაგვარად ცდილობენ ბინის მოწყობას სუფთად და ლამაზად. საერთოდ, ყველა ბინა ძლიერ წააგავს ერთმანეთს, ყველა ერთსადაიმავე სტილზეა გაკეთებული და ყველას თითქმის ერთი და იგივე დადებითი და უარყოფითი მხარე ახასიათებს.

უარყოფითი მხარე კი ბევრია, როგორც სახლების არქიტექტურაში, ისე თვით იმ პრინციპებში, რომლის მიხედვითაც ამხანაგობას უწარმოებია ბინათმშენებლობა.

მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ სრულებით არ არის მხედველობაში მიღებული ახალი ყოფაცხოვრების საკითხები.

არ ვიცი ვის უნდა უსაყვედუროთ—საბინაო-საამშენებლო ამხანაგობის გამგეობას, თუ საქართველოს ბინათკავშირს, რომელიც იდეურ და ტექნიკურ ხელმძღვანელობას უწევს ბინათმშენებლობას, როდესაც ხედავ, რომ ბინები თანამედროვე პირობებისა და მოთხოვნილების მიხედვით კი არ არის აშენებული, არამედ ძველ, დამყაყებულ ტრადიციებისა და ბურჟუაზიული გემოვნებისა და სულისკვეთების მიხედვით.

ვინ შეიმუშავა, ვინ დაამტკიცა და ვინ მოიყვანა სისრულეში ისეთი გეგმა, რომლის მიხედვით ცალკე ბინა განხორციელებაა ოჯახის სრული, აბსოლუტური დამოუკიდებლობის, გეგმა, რომელიც სრულიად არ უწევს ანგარიშს ახალ ყოფაცხოვრებას, ამ ყოფაცხოვრების სოციალისტურ სარჩულს.

ბევრი შეუგნებელი მობინადრე იკვეხნის კიდეც.

— ჩემს მეზობელთან მხოლოდ საერთო სახურავი და ეზო მაკავშირებსო.

საკუთარი სამზარეულო, საკუთარი აბაზანი, საკუთარი საპირფარეშო, საკუთარი დერეფანი, საკუთარი შესასვლელი და გასასვლელი; არავითარი ურთიერთობა მეზობლებთან, არავითარი საერთო მეორე მათში მცხოვრებთან,—აი პრინციპი, რომლის მიხედვითაც აგებულია ყველა სახლი, ყველა ბინა ამხანაგობისა.

და ეს იმ დროს, როდესაც იდეა კოლექტივიზმისა, კოლექტიური შრომისა და ნაშრომის განაწილებისა ხორცს ისხამს და ფეხს იკიდებს არა თუ ქალაქად, ქალაქის მუშებს შორის, არამედ სოფლად, ღარიბ და საშუალო გლეხობას შორისაც კი, როდესაც მძლავრი კოლექტიური მოძრაობა მოედო საბჭოთა კავშირის უზარმაზარ სივრცეს და საბოლოოდ ძირს უთხრის კაპიტალისტურ ინდივიდუალურ წარმოებას; როდესაც ჩვენი ქვეყნის მიყრუებულ ადგილებიდანაც კი ყოველდღე მოდის ცნობები კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის შესახებ.

ამ მუშათა ახალ უბანში, რომელიც მაგალითის მიმცემი და გზის მაჩვენებელი უნდა იყოს დანარჩენ მუშათა უბნებისათვის, არ არის კლუბი, არ არის საბავშო ბაგა, არ არის საბავშო მოედანი, ე. ი. უბანი მოკლებულია ყველა ისეთ დაწესებულებას, რომელიც ახასიათებს ახალ კულტურულ ყოფაცხოვრებას, რომელიც შეიცავს დედაკაცის მონობისაგან განთავისუფლების ელემენტებს, მოზარდი თაობის ჭეშმარიტად კომუნისტურად აღზრდის საფუძვლებს.

დროა შეიგნოს ლენინის სახელობის ამხანაგობის წევრებმა, მათმა ხელმძღვანელებმა, და განსაკუთრებით საქართველოს ბინათკავშირმა, რომ ჩვენი ხელისუფლება მარტო იმიტომ კი არ ხარჯავს აუარებელ თანხებს მუშების ბინების მშენებლობაზე, რომ პეტრე და ივანე მოაწყოს კარგ ბინაში ძველებურად, ფართოთ და ხალვათათ, არამედ იმიტომ, რომ მუშების საბინაო მშენებლობა საფუძვლათ დაუდოს ახალ კომუნისტურ საზოგადოების ჩამოყალიბებას; ამიტომ საჭიროა, რომ ყველა საბინაო-საამშენებლო ამხანაგობები საამშენებლო ტეხნიკურ კანტორას კი არ წარმოადგენდეს, არამედ სოციალიზმის მშენებელთა რაზმს, კომუნისტური საზოგადოების ნამდვილ უჯრედს. **გ—ლი.**

# ჩვენი წითელი ჯარი





მუშურ-გლეხურ წითელ არმიას უდიდესი დამსახურება მიუძღვის ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის და განმტკიცების საქმეში. დღიდან თვისი დაარსების, წითელმა არმიამ მრავალი წელიწადი გაატარა უმაგალითო ბრძოლებში საბჭოების და პროლეტარიატის დიქტატურის მტრებთან. იბრძოდა წითელი არმია და ამავე დროს იგი აწარმოებდა ორგანიზაციულ მუშაობას თავის შიგნით, ჰქმნიდა მუშაობის და სწავლების ახალ ფორმებს და მეთოდებს. უდიდესი ბრძოლების დროს, არმიის [პოლიტმუშაკნი და მეთაურები პოულობდენ დროს, რომ ეწარმოებიათ მეცადინეობა არმიელებთან, აეხსნათ მათთვის, თუ რისთვის იბრძვის წითელი არმია, რას ნიშნავს სიტყვა „წითელარმიელი“, ვინ არიან დენიკინი, კოლჩაკი, იუდენიჩი და სხვა თეთრი გენერლები.

წითელარმიელები შეგნებულად მიდიოდენ ბრძოლებში, მათ იცოდნენ, რომ ისინი იბრძვიან არა ერთი მუჭა ხალხის ინტერესების დასაცავად, არამედ იმისთვის, რომ მოუტანონ ბედნიერება მრავალ მილიონებს. წითელარმიელები იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ, რადგან მათ მხარს უჭერდნენ საბჭოთა კავშირის და ყველა ქვეყნების ჩაგრულნი.

ქართულმა წითელმა ჯარმა, რომელსაც მოკლე ხანში შეუსრულდება არსებობის 9 წელი, პირველ დღეებიდანვე გადაიღო სახელოვანი წითელი არმიის ტრადიციები და ცხრა წლის მანძილზე არ უღალატნია მათთვის.

მუშათა კლასის მტრები, როგორც შიგნით, ისე გარეთ, გაიძახოდნენ, რომ ახალი საქართველო ვერ შესძლებს შექმნას თავისი საკუთარი შეიარაღებული ძალა მაგრამ, ეს მათი სიტყვები არ გამართლდა. რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო მტკიცდებოდა ქართული ჯარი, იგი იძენდა ცოდნას და საბრძოლო გამოცდილებას და, მუშათა კლასის მტრებთან ბრძოლაში უმტკიცებდა ყველას, რომ იგი თავგამოდებით იცავს საბჭოთა საქართველოს. ქართულმა წითელმა ჯარმა ბევრჯერ დაუმტკიცა საქართველოს მშრომელთ თავისი თავდადება და ერთგულება. მან მოკლე ხნის განმავლობაში ლიკვიდაცია უყო ბანდიტების ხროვას; რომლებიც დაძრწოდენ გურიაში, ფშავ-ხევსურეთში და არ აძლევდნენ მოსვენებას მშრომელებს.

ამხ. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ წითელ ჯარს. 1922 წელს ამხ. ლენინი უგზავნის სერგო ორჯონიკიძეს წერილს, სადაც ნათქვამია, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნეს ძლიერი ქართული ჯარი და მეთაურთა და პოლიტ-მუშაკთა კადრი მუშებისა და მშრომელ გლეხებისაგან. ამავე წერილში ამხ. ლენინი იძლევა რჩევა-დარიგებას, თუ რა ღონისძიებები უნდა იქმეს გატარებული ჯარის განმტკიცებისათვის. საქ. კომუნისტურმა პარტიამ პირნათლად შეასრულა თავისი ბელადის სიტყვები. დღეს ჩვენ გვყავს საუკეთესოდ შეიარაღებული და გაწვრთნილი წითელი ჯარი, რომელიც მზად არის მისცეს ღირსეული პასუხი მათ, ვინც მოისურვებს დაარღვიოს საქართველოს მშრომელთა მშვიდობიანი შრომა.

1-ლი ქართული მსროლელი დივიზია ერთერთი საუკეთესო დივიზიაა მთელს მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში. 1928 წელს მან დაიმსახურა საუკეთესო მსროლელის სახელი და დღესაც სახელოვნად ატარებს ამ სახელს. ქართველი მებრძოლები კარგად იცნობე ხ იარაღს და იციან მისი ხმარება.

კარგად არის მომზადებული აგრეთვე მეორე დივიზია, რომელიც ატარებს სახელოვანი მებრძოლის ამხ. ფრუნზეს სახელს.

„ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ დივიზიის ნაწილებმა შეისწავლეს ყველა სახის ჯარის რაზმების შეერთებულ მოქმედების გამოცდილება და მეთოდები. უკანასკნელი შეკრებების შედეგები სამხედრო მომზადების ყველა დარგში დამაკმაყოფილებელია, ხოლო სროლაში და ფიზიკურ დარგში—კარგი, წითელარმიელებმა მშვენივრად იციან, თუ რა მოვალეობა აწევს მებრძოლს იმ შემადგენლობაში, სადაც იგი ირიცხება“. ასე ახასიათებს დივიზიის არმიას, დივიზიის სარდალი ამხ. გიორგაძე.

მუშურ-გლეხური წითელი არმია ძლიერია თავისი შეგნებით. წითელარმიელმა საუკეთესოდ იცის იარაღის ხმარება და იცის ისიც, თუ ვის წინააღმდეგ უნდა იხმაროს ეს იარაღი. წითელი არმია ძლიერია იმითაც, რომ წითელარმიელთა მთელი მასა იღებს უშუალო მონაწილეობის სწავლების საქმეში.

ამ დღეებში ჩატარდა წითელარმიელთა ფართო კონფერენციები. სადაც განხილული იქნა სწავლებისა და საბრძოლო მომზადების საკითხები. დივიზიების მეთაურებმა გააცნეს არმიელებს ნაწილების საბრძოლო მდგომარეობა და ის ღონისძიებები, რომლებიც მიღებული იქნება ბრძოლის უნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. არმიელები ღებულობდნენ მხურვალე [მო]ნაწილეობის სჯა-ბაასში და იძლეოდნენ საქ[მ]იან მითითებებს.

— ჩვენს ლეგიონში იარაღის მოვლას არ [ა]ქცევა სათანადო ყურადღება—განაცხადა № ...არტ. ლეგიონის არმიელმა.

— ჩვენს ლეგიონში არ არის ფართოდ გა[მ]ოყენებული სოცი ლისტური შეჯიბრების მეთოდები—ამბობდა ახალგაზრდა არმიელი.

— მეთაურები ჩვენთან საუკეთესოდ მუშაობენ, მათთვის არ არის განსაზღვრული მუშაობის დრო, ისინი ყოველთვის ჩვენთან არიან, [მ]ეგობრობენ, გვაძლევენ რჩევა-დარიგებას, სთქვეს ...[მ]სროლელ ლეგიონის არმიელებმა.

წითელარმიელები აღნიშნავდნენ, რომ [უ]ნდა მიექცეს ყურადღება სროლას, იარაღის [მ]ოვლა-შენახვას, არმიელების კულტურული [მ]ოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ყოფა-ცხოვრების საკითხების გაუმჯობესებას. მეთაურები ...ურს უდებდნენ არმიელთა შენიშვნებს, ბჭობდნენ მათთან ერთად და ისახავდნენ ზომებს ნაკლის გამოსასწორებლად.

მთელი მუშურ-გლეხური წითელი არმია და კერძოდ ქართული წითელი ჯარი, უდიდესი პოლიტიკური და კულტურული სკოლაა.

ქართულმა წითელმა ჯარმა შეასწავლა წერა-კითხვა 100.000 ახალგაზრდას. წითელმა ყაზარმამ მოუმზადა სოფელს რამდენიმე ათასი მუშაკი, რომლებიც ჩაბმულნი არიან საზოგადოებრივ მუშაობაში.

სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით, წითელი ყაზარმა აწარმოებს უდიდეს მუშაობას. წითელი ჯარი გზავნის სოფლად ბრიგადებს, რომლებიც მუშაობენ კოლექტივიზაციის ირგვლივ. ამასთანავე, წითელი ყაზარმა ამზადებს მუშაკებს კოლექტივებისათვის. ქართულმა დივიზიებმა თავისი თავი გამოაცხადეს დამკვრელებათ. მათ უნდა ჩააბან მთელი თავისი შემადგენლობა კოლექტივებში და მოამზადონ საუკეთესო ტრაქტორისტები, მებამბეები, მესაქონლეები, მეაბრეშუმეები და კოლექტივების ხელმძღვანელები.

მეორე დივიზიამ იკისრა ამხ. ფრუნზეს სახელობის სატრაქტორო კოლონის მოწყობა. თანხები ტრაქტორების შესაძენათ უკვე გროვდება და მალე კოლონა შეუდგება მუშაობას ველად.

ასე იბრძვის ქართული წითელი ჯარი კოლექტივიზაციის ფრონტზე.

ე. ხუციშვილი.







ფოტო — შ. ფურცხვანიძის.



# ქარაოცი

## კომედია მოთხრობად*)

ეზოს წინ თუ კრამიტი პირაღმა იდებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მანანას ქმარი სამუშაოდ იყო წასული, და თუ კრამიტი დაპირქვავებული იქნებოდა, ლონგინოზს უნდა სცოდნოდა, რომ ქმარი სახლში ჰყავდა და უნდა მორიდებოდა.

ერთს საღამოს ეს კრამიტი ბავშვებს გადაებრუნებინათ, თუ ეტლი მოხვედროდა, ყოველშემთხვევაში ლონგინოზს კრამიტი ახიმნებდა, რომ გზა ხსნილი ჰქონდა „სალაღობოდ, სააშიყოდ“!

ლონგინოზი, შევიდა თუ არა, ეცა მანანას. ქმარი ფანჯარაზე იჯდა, ასე რომ ლონგინოზმა ვერ შეამჩნია.

— შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე! იძახოდა ლონგინოზი.

ქალი გაშრა, გაწბილდა.

ქმარმა ჩაირახრახა:

— ვის ოხერს დაჰკარგვიხარ? ამ შუაღამისას რა გინდა ჩემს სახლში?

ლონგინოზს ენა ჩაუვარდა. ქმარმა ჩაავლო კისერში და ცემით გაზეთქა.

დაბეჟილი და ნაცემი ლონგინოზი ფეხზე ველარ დგებოდა.

ამ აურზაურზე შეგროვდნენ ახლო მეზობლები, რომლებმაც ნაცემი ლონგინოზი ზურგზე აიკიდეს და სოფიოს მიჰგვარეს.

ადგილობრივ ექიმბაშის რჩევით ლონგინოზი ერთი თვე ახლად დაკლულ ცხვრის ტყავში იდო გახვეული და კვნესოდა.

სოფიო გაიძახოდა: ქა, ეგღა გვაკლდა, რომ ჩემს პატიოსან ქმარს ასეთი ცილი დასწამეს? მეხი კი დაეცეს ვიღაც უჯიშოებს! ვითომ ქმარს შეეძლო?.. ისეც უკვდეიათ!

ლონგინოზმა ეს ამბავი არც აღწერა და არც ლექსად გამოსთქვა, თორემ უთუოდ დაუბეჭდავდნენ და რედაქტორებს იდილიის სახელწოდება ასცდებოდათ.

### დაუზარებელი ორატორი იუბილეებზე და უცხოთ თუ ნაცნობის სამარეზე.

ლონგინოზი, როგორც ორატორი, ცნობილი იყო ზერეთში და ზერეთის გარედაც. ეს სახელი გაითქვა მაშინ, როცა ერთს იუბილეზე თავისი თავი არა თუ შეადარა, ერთს დიდს იუბილიარზე მაღლაც დააყენა.

ვინმე რომ მოკვდებოდა, ლონგინოზს დამარხვა არ სჭირდებოდა. მისდგებოდა სამარესთან ნაშალ მიწაზე და ლაპარაკობდა აქ მისას, იქ მისას. მოხუცს ახალგაზრდად აქცევდა, ახალგაზრდას მოხუცად. ერთი ყალიბის სიტყვა ყველა მკვდარს ადგებოდა.

გაზეთში პირველად სამგლოვიარო განცხადებას წაიკითხავდა, რომ მკვდარი არავინ გამოჰპაროდა.

თუ ვინმე საზოგადო მოღვაწე მოკვდებოდა ზერეთის გარეთ—თბილისში, აი სწორედ მაშინ, მეორე დღესვე იქით გაექანებოდა. უპირველესად დამკრძალავ კომიტეტს მოძებნავდა, დიდს სამძიმარს ეტყოდა, როგორც ჭირისუფლებს და შემდეგ ვითომც სხვათა შორის ჩაუჩურჩულებდა: „ზერეთის საზოგადოებისაგან აქ მოვლინებული ვარ და სიტყვა დამავალესო“.

ბევრჯერ გაუცურებიათ და სიტყვის ნება არ მიუციათ, მაგრამ კუბოს რომ [illegible] დაუწყვია, ლონგინოზს უყვირნია გოდებით:

— გვეთხოვები? ალაო მიხვალ? საით? საით?

ყურადღებას მიიპყრობდა და სიტყვას მაინც იტყოდა, ლექსით დაიწყებდა:

„დიდო პოეტო, ულვთო იყო შენი სიკვდილი!“

მიცვალებული პოეტი იყო, თუ არა, ეგ სულ ერთი იყო, დაბოლოს ისევ ლექსით დააბოლოვებდა:

„შენ წახველ, მაგრამ მე აქ დამტოვე სამარადისო მოსაგონებლად!“

სიტყვას რომ გაათავებდა, ცხვირის ნესტოებით გაბერილი ხალხში გაერეოდა, ყველას სახეზე აცქერდებოდა: „რა შთაბეჭდილება დავტოვე, ან როგორ მოვეწონეო“.

თუ სხვა არაფერს ეტყოდა, თვითონ შეეკითხებოდა:

— ჰა, როგორ მოგეწონა? უცბად, ექსპერნტი იყო, ხომ გვარიანად ვილაპარაკე? უკეთესი იქნებოდა, რომ მომზადებულიყავ... არა?

ყველაზე უხეირო ორატორს შეაქებდა, რომ მისთვის ეთქვათ: თქვენ უკეთესი იყავითო!

### ლონგინოზი ოქროს მადნებსაც ეძებდა

ერთხელ ლონგინოზი რამდენიმე თვით დაიკარგა; ბევრი ეძებეს, მაგრამ ველარ იპოვეს.

ოჯახიც შეწუხდა და მისი ნათესავებიც. ბოლოს დაბრუნდა დაგლეჯილ და დაფლეთილ ტანისამოსით.

თურმე ის წასულიყო კავკასიონის მთებში მადნის აღმოსაჩენად.

იქ აუარებელი ლოდები დაეგროვებინა, რომლებშიაც, მისი აზრით, ოქრო იყო და რადგან მისივე დასკვნით იმ ლოდებში ოქრო აღმოჩნდა, ამიტომ მთელი მთა (განა ერთი და ორი?) სულ ოქროს ზოდებად ელანდებოდა.

— ხალხო, როდემდის ვიყოთ შეუგნებლები? რად ვწვალობთ? [illegible] რად ვიხოცავთ, როცა ჩვენგან რამდენიმე ვერსის დაშორებით აუარებელი სიმდიდრეა?... ზოდები! ოქროს ზოდები!

რამდენჯერმე ლოდის ნატეხები თბილისშიაც ჩამოიტანა — მაგრამ ამაოდ! ანალიზის შემდეგ უთქვამთ: უბრალო ქვის ნატეხებიაო, მაგრამ არ დაუჯერია და ეჭვობდა: ადგილი რად ვაჩვენე, თვითონ წავლენ და ზოდებს ამოალაგებენო.

ასეთი წარსული ჰქონდა ლონგინოზ ტურაბელს, როცა საქართველო გასაბჭოვდა და მის სასახლეზე აიმართა წითელი დროშა ხუთქიმიან ვარსკვლავით.

### გმირი უჩახმახოდ ბოლშევიკების წინააღმდეგ და მსჯელობა იმაზე, თუ შოთას ფეხზე რამდენი მაზოლი ჰქონდა!

ბოლშევიკების წინააღმდეგ ლონგინოზს ერთი დანაშაული მიუძღოდა. ეს ჩემი გმირი ყოველთვის იგვიანებდა, (ხან წლობით და ხან საუკუნოებით), ასევე დაუგვიანდა ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ბოლშევიკები უკვე ორი თვე თბილისში იყვნენ და უკვე ახალ კანონებს სცემდნენ, ცხოვრებაც ძირიან-ფესვიანად იცვლებოდა, რომ ლონგინოზი და რამდენიმე მისი თანაზიარი მაშინ გამოვიდნენ თოფ-იარაღით ბოლშევიკებთან საბრძოლველად.

ზერეთიდან 7 ვერსის დაშორებით, სადაც მდინარე მოჰქუხდა, სწორედ ის მდინარე, რომლის გარშემო შემდეგ ლონგინოზმა დიდი ამბავი დაატრიალა, ხუთნი თუ ექვსნი [illegible] ათეხებდნენ.

ერთს მუხასთან იყო მათი პოსტი.

აქ გააკეთეს თხრილები და სანგრები, მაგრამ თხრილებში ყოფნას არჩიეს მუხის ქვეშ ყოფნა, სადაც ლონგინოზის ერთი ძალიან ახლო ამხანაგი, სახელად გორგოლა, მეტ სახელად კი კუსპარა, რადგან დაბალი და დარგვალებული იყო, ცეცხლზე ღორის მწვადებს აშიშხინებდა და „სამშობლოსათვის თავდადებულებს“ დილა-საღამოს სადილ-ვახშმებს „[illegible]“ უმზადებდა. თან ტიკებით წითელი ღვინო და არაყი ბლომად ჰქონდათ.

გამოიბრუჟებოდნენ და მუხას შემოუვლიდნენ დასაზვერად. მათის სტრატეგიული მოსაზრებით ბოლშევიკებს სხვა გზა არ ჰქონდათ, უთუოდ ამ მუხასთან უნდა გამოევლოთ.

ლონგინოზი ასეთი სასაცილო არასდროს ყოფილა. სამი პატრონტაში, ორი ჩანთა, ერთი ნაბადი, თოფი მხარზე და ხელში კი [illegible] სისქის ჯოხი. ეს ჯოხი რაღად უნდოდა?—გორგოლას ვერაფრით გაეგო. ლონგინოზი [illegible] და ოფლში იწურებოდა.

ხან იძახოდა.

— ოჰ, მე რომ აქ გავცივდე, ანთება დამემართოს და თან გადავყვე, რაღა ეშველება ჯერ ზერეთს და მერე კაცობრიობას?

ცეცხლაპიოას თავის ამხანაგის ლექციებს უკითხავდა, რომ ომი ველურობაა და კაცობრიობის გამანადგურებელი! ომი [illegible] ადამიანში ბარბაროსის ინსტიქტის გამღვიძებელი.

— მაშ რად წამოსულხარ ბრძოლის ველზე? ეკითხებოდა ღვინით [illegible] და ენით [illegible] ელამი გორგოლა.

— აი, ეგ კი ადამიანის გონებისთვის აუხსნელი და გაუმარტებელი „პრობლემაა“. აკეთებდე იმას, რაც არ გინდა და რაც გინდა, იმას კი ვერ აკეთებდე. ე. ი. ადამიანი **სიტყვით სხვაა, საქმით სხვაა.**

— „[illegible] დიდი ზღვარი!“ გააწყვეტინა გორგოლამ.

— ჰო, ჰო, აი, რა დიდებულ აზრს ვიტყვი ხოლმე! —გაიბერა ლონგინოზი.

— ეს აზრი რვა საუკუნის წინად, ვგონებ, შოთამ სთქვა?!

— შოთამ? შოთას პრობლემისა რა გაეგება, თვითონ პრობლემაა!.. მე დაგიმტკიცებთ, რომ ჩემს შემდეგ შოთა საჭირო აღარც იქნება! აბა, რა გმირები ჰყავს?.. ყველაზე უსუსური ტარიელია! როგორც ქალაჩუნა, ტირის და თავისი მიზანი ვერ განუხორციელებია, სანამ მას ავთანდილი ყურზე ხელს არ წაავლებს და ნესტანთან არ მიათრევს... ამის გარდა, გაიგონეთ, ტარიელი უდიდესი ქარაოცია... მისი ქარაოცობით სატრფო გაიტაცეს... [illegible] მათრახით ჟლეტავს. გარდა, სადღაც გამოქვაბულში იმალება, იქ ქალაში ვეფხვი სატრფოდ ეჩვენება, კაცის დანახვა აგიჟებს. განა ასეს [illegible] ჭკუათამყოფელი ჰაიდებს? ამაზე მე რამდენიმე ტომი გამოკვლევა მაქვს და ვამტკიცებ, რომ იგი ქარაოცია!.

გორგოლას გულიანად ჩაეცინა...

ლონგინოზი მიხვდა, რომ სიტყვა „ქარაოცი“ არ უნდა ეთქვა, მაგრამ რაკი წამოსცდა, უკან აღარ დაიხია!

— რა გაცინებს! იმაზე, რომ ქარაოცს მე მეძახიან? მე მაგ სიტყვას სხვანაირ მნიშვნელობას მივცემ და მაშინ გაიცინე შენც და იმ ფიდო დათუკიძემაც! მე მას ვუჩვენებ, მის რომ ბუზის წინ წამომჯდარა და ვეფხვებს გულში იხუტებს, ერთი ეს ომი გადავიხადო...

---

*) დასაწყისი იხ. „დროშა“ № 2, 3.

# მორიგი გამარჯვება

25 თებერვალი, საბჭოთა საქართველოს 9 წლის თავი, თბილისის პროლეტარიატმა აღნიშნა უდიდესი გამარჯვებით სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე—თბილისის მაუდ კამვოლის ფაბრიკის გახსნით. ამ დღეს, დილიდანვე, თბილისის მშრომლები გაემართნენ დიდუბისაკენ, სადაც აღმართულია მაუდ-კამვოლის ფაბრიკის შენობა. დილის 11 საათისათვის ფაბრიკასთან მოიყარა თავი 3.000-ზე მეტმა კაცმა. ფაბრიკის საზეიმო გახსნა გარდიქცა დიდ დემონსტრაციათ.

მიტინგზე ილაპარაკეს ამხ. მიხა ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ, გ. ყურულაშვილმა და სხვ. ამხანაგებმა თავის სიტყვებში აღნიშნეს საბჭოთა საქართველოს მშენებლობის მიღწევები და უსურვეს საქართველოს პროლეტარიატს ახალი გამარჯვება.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა უდიდესი ფაბრიკაა მთელს ამიერ-კავკასიაში. ფაბრიკაში დადგმულია ახალი, გაუმჯობესებული და რთული მანქანები. ის ფაქტი, რომ ფაბრიკაში მუშაობენ თბილისელი მუშები, რომლებსაც შეუძლიანთ გაუძღვნენ ამ რთულ მანქანებს, მოწმობს იმას, თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი მუშათა კლასი. ფაბრიკა დაამზადებს საუკეთესო ხარისხის მაუდს და შალეულობას, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს მოთხოვნილებას. მოკლე ხანში შესაძლებელი შეიქმნება მაუდ-შალეულობის გატანა საქართველოს ფარგლებიდან. ფაბრიკა დიდათ შეუწყობს ხელს მეცხვარეობის განვითარებას ჩვენში და აალორძინებს საფეიქრო მრეწველობას.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკას თბილისის პროლეტარიატმა უწოდა—საფეიქრო ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო".

სურათზე—მიტინგი ფაბრიკასთან. ამხ. მიხა ცხაკაია ამბობს სიტყვას.



თბილისის მაუდის ქარხნის გახსნა ამხ. მიხა ცხაკაიას თანადასწრებით

# სამი დღე აბაშის რაიონში

## (ბრიგადის წევრის ჩანაწერი)

სალამოთი გავედით თბილისიდან. ფოთის მატარებლის მთელი ვაგონი დაკავებულია ჩვენი ბრიგადით. ვაგონში არიან წითელარმიელები და ნაწილების მეთაურები, მათ შორის მექანიკოსები, მონტიორები, ზეინკლები და სხვ. მხოლოდ რამდენიმე კაცია „კერძო"—კორესპონდენტები, ასოთ-ამწყობები, მბეჭდავები—ჩვენი მოძრავი გაზეთის „მთლიან კოლექტივიზაციაზე" შტატი. ეს არის კავკასიის წითელდროშოვანი არმიის წითელარმიელთა დამკვრელი ბრიგადა.

ჩვენი მოქმედების რაიონი სამეგრელოა. აბაშაში ჩამოვედით დილაადრიანათ და მაშინვე მუშაობას შეუდექით. გადმოვტვირთეთ „ამერიკანკა", შრიფტი, კასები, ქაღალდი და ყველაფერი ეს კინო-ლენტებთან და რადიო-მიმღებთან ერთად გადაგვაქვს კლუბში, რომლის კანცელარიაც სტაბად გადავაქციეთ. აბაშაში უკვე იციან ჩვენი მისვლა. ჩვენ გვაჩერებენ გლეხები, გვეკითხებიან ჩვენი ჩასვლის მიზნებზე, მომავალ მუშაობაზე და სხვა.

პარტკომში თათბირია. სდგება ჩვენი მოქმედების პროგრამა, გვაცნობენ კოლმეურნეობრივი მშენებლობის ციფრებს, რომელმაც აბაშის რაიონში მასიური ხასიათი მიიღო. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში აქ მოეწყო 29 კოლმეურნეობა და ერთი კომუნა, რომლებიც აერთიანებენ 724 კომლს, ეს მხოლოდ დასაწყისია. აბაშის რაიონი უნდა გადაიქცეს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონად. დამკვრელებისათვის მუშაობა რამდენიც გინდა არის.

დავნაწილდით ექვს ჯგუფად და გავემართეთ სოფლებისაკენ—ნაესაკოვში, სუჯუნაში და სხვა. ძირითადი ბირთვი დამკვრელ ბრიგადის შტაბი, აბაშაში რჩება პირველ დღესვე შევუდექით კონსულტაციის წარმოებს. ჩვენ გვეკითხებოდნენ თუ როგორ უნდა მოეწყოს კოლმეურნეობა, როგორ უნდა მიიღონ სესხი, სად შეიძლება სას. სამ. მანქანა-იარაღების შოვნა და სხვ. შეკითხვები უამრავია. ეს შეკითხვები ყველაზე უკეთესად აღნიშნავენ გლეხთა შეგნებას, მათ სურვილს კოლექტიურად მუშაობისას და კლასობრივი მტრის განადგურებისას.

ბრიგადამ მობილზაცია უყო კერძო საზეინკლო სახელოსნოს თავისი საჭიროებისათვის. მეპატრონე ჯერ დაცინვით უყურებდა ახალ ოსტატებს „ბუდიონოვკებში", ხოლო როცა დარწმუნდა, რომ ისინი მშვენივრად მუშაობენ, დარდისაგან ლოთობას მიჰყო ხელი და სახელოსნოში აღარ გამოჩენილა.

დასაწყისში გლეხობას არ სჯეროდა, რომ ბრიგადა უფასოდ მუშაობდა, ხოლო როცა დარწმუნდნენ, მაშინ კი მოაყარეს მანქანა-იარაღები. დამკვრელები უმკვლავდებოდნენ ყველაფერს. პირველ დღეს შეკეთებულ იქნა 6 ფარცხი, გუთანი და სათესი მანქანა. სახელოსნოს წინ მოედანი მუდამ სავსეა ხალხით. აქ იმართებოდა საუბარი გლეხებსა და დამკვრელებს შორის. განსაკუთრებით დამახსოვდა 55 წლის გლეხი კიკაბიძე, რომელმაც გვიჩვენა თავისი დაკოჟრილი ხელები და სთქვა: „45 წელიწადია ეს ხელები მუშაობენ, მაგრამ ჩემი ოჯახი მაინც მშიერია. ეხლა შევიგნე, რომ ხსნა მხოლოდ კოლექტიურ შრომაშია-ო"

შტაბმა მიიღო ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან, რომლებშიაც ნათქვამი იყო გლეხებისა და დამკვრელების გულთბილ შეხვედრის, კოლმეურნეობათა ჩამომყალიბებელ საინიციატივო სამეულების შექმნის შესახებ და სხვა. მუშაობა გაიშალა სწრაფი ტემპით.

გამოუშვით მოძრავი გაზეთი, რომელიც 2.000 ცალი გასაღდა, გლეხები დიდი ინტერესით კითხულობდნენ ამ გაზეთს.

გადავედით ნაესაკოვში. როდესაც თემსაბჭოს შენობას ჩაუარეთ, გზაში შეგვხვდა კულაკების ჯგუფი, რომლებიც მტრულად გვიბღვერდნენ. სოფელში გვაცნობეს, რომ ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი, ჩატარდა ახალგაზრდობის კრება, რომელმაც ერთხმად დაადგინა ჩამოაყალიბოს კოლექტივი და მასში მიიზიდოს ღარიბი გლეხობა. უღარიბეს გლეხთა კრებაზე კულაკები შეეცადნენ შემძვრალიყვნენ კრებაზე და როგორმე შესულიყვნენ კოლექტივში. ერთი კულაკი იმდენათ გათავხედდა, რომ საჭირო შეიქნა მისი გაძევება.

ჩვენი ყოფნის მესამე დღეს აბაშის კლუბში გაიმართა შვებულ და ცვალებად წითელარმიელთა კონფერენცია, რომელიც ჩვენმა ბრიგადამ მოიწვია. დარბაზი გაჭედილი იყო, სცენიდან მოისმოდა გლეხების სიტყვები, რომლებიც მოუწოდებდნენ შეურიგებელ ბრძოლისაკენ კულაკობის წინაალმდეგ და კოლმეურნეებში გაერთიანებისაკენ. ამ კონფერენციის დელეგატების გადაწყვეტილება ასეთია:

ჩვენ ვიქნებით კოლექტივიზაციის ფრონტზე პირველ რიგებში. ვიღებთ ჩვენს თავზე ვალდებულებას ყოველნაირად ხელი შეუწყოთ კოლმეურნეობრივ მშენებლობას და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა გატარებას სოფლად. მთლიანი კოლექტივიზაცია უნდა გატარდეს მთელი ასი პროცენტით!

ე. უ. ი.

13
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. შირვანზადე

## (მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის თავის გამო).

ამ წლის იანვარში შესრულდა გამოჩენილი სომეხი რომანისტის და დრამატურგის ალექსანდრე შირვანზადეს ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის თავი.

შირვანზადე დაიბადა 1858 წ. შემახაში, რომელიც მწერლის დაბადების წლის თავზე მიწისძვრამ გაანადგურა. ბავშობაში მომავალი მწერლის ნივთიერი პირობები ვერ იყო სახარბიელო. იგი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, რომ იძულებული შეიქნა ბაქოში გადასახლებულიყო და სამსახურს შესდგომოდა, რასაც მისგან ითხოვდა ოჯახზე ზრუნვის მოვალეობა. სამრეწველო ბაქომ ახალგაზრდა შირვანზადეზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ იგი პირველად გაეცნო ნავთის მრეწველობის მუშათა ცხოვრების პირობებს და 1881 წელს თბილისის გაზეთ „მშაკ"-ში დაბეჭდა ყოფა-ცხოვრებითი შინაარსის რამდენიმე ნარკვევი („მუშაკი").

ცხრაასიან წლებში მან ხელი მიჰყო დრამატულ მწერლობას და 9 წლის განმავლობაში დასწერა 9 დრამა, რომელთაგანაც გამარჯვება ხვდა წილად პიესებს: „ნამუსისათვის", „ევგენია", „დალუპული" და სხვა. ჰანჩაკის პარტიის წევრობისათვის მან სამი თვე გაატარა მეტეხის საპყრობილეში, სადაც მასთან საერთო საკანში იჯდა, მაშინ ჯერ კიდევ სრულიად უცნობი, მაქსიმ გორკი. ციხის შემდეგ შირვანზადე ორი წლით გადაასახლეს კავკასიის საზღვრებიდან ოდესაში.

1905 წელს შირვანზადე გაემგზავრა პარიზს, სადაც სორბონის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს ისტორიის, ლიტერატურის და ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიის დარგებიდან. 1910 წლის დამლევს შირვანზადეს ისევ კავკასიაში ვხედავთ, ხოლო 1919 წელს იგი კვლავ იწყებს მოგზაურობას და მოივლის თურქეთს, კილიკიას, სირიას, ეგვიპტეს იტალიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს და 1926 წლის დამდეგს ბრუნდება სომხეთში, სადაც ირიცხება სომხეთის საბჭოთა მწერლების ფედერაციის წევრად.

შირვანზადეს მრავალი ნაწერები გადათარგმნილია რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, რუმინულ, ჩეხურ, თურქულ, ოსმალური და ქართულ ენებზე. შირვანზადეს ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის თავი ჩატარებულ იქნა მთელ სომხეთში 8—15 თებერვლამდე.

შირვანზადე აზერბეიჯანელია, შემახელია, და მისი საუკეთესო ნაწერებიც აზერბეიჯანის სინამდვილის მხატვრულ ასახვას ემსახურება ამიტომ გასაგებია, როდესაც საბჭოთა აზერბეიჯანის მთავრობამ დიდი ზეიმით გადაუხადა შირვანზადეს 50 წლის მოღვაწეობის იუბილე ამიერ - კავკასიის სხვა რესპუბლიკებზე ადრე. ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის თვალსაზრისით, ეს ფაქტი იმდენადვე ბუნებრივია, რამდენადაც იგი უცხო და გაუგებარია ყველა ჯურის ნაციონალისტებისათვის. რატომ აზერბეიჯანი და არა სომხეთი? განა შეიძლებოდა თურქი მწერლის ან საზოგადო მოღვაწის იუბილეს გადახდა, მაგალითად, დაშნაკურ სომხეთში? ამაზე ორი აზრი შეუძლებელია: ბურჟუაზიულ - შოვინისტური მიჯნები შეუძლებელს გახდიდა ასეთ რამეს.

შირვანზადე თავის თხზულებებში გვიხატავს სამრეწველო ბაქოს ცხოვრებას და შემახის პროვინციის ყოფას. მისი ნაწერები მთელი ამიერ - კავკასიის საზოგადოებრივ - მხატვრულ განძს წარმოადგენენ. მის მიერ დახატული ცხოვრება და მის მიერ შექმნილი ტიპები ამიერ - კავკასიის ყველა ხალხთა კუთვნილებას შეადგენენ. მისი გმირები — ელიზბაროვი და ამალიანი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენენ მანთაშევსაც, ტაგიევსაც, ხოშტარიასაც. მისი როსტომი, სონა და ბარხუდაროვი ღრმა ამიერ - კავკასიური პერსონაჟებია და მცირეოდენი ცვლილებაც კი საკმარისია, რომ ისინი მწერლის მიერ დახატული წრისათვის ღვიძლ შვილადვე დარჩეს, როგორც აზერბეიჯანში, ისე საქართველოში. მხატვრული ტიპების მთლიანობის ეს გაგება ჩვენ უნდა განვამტკიცოთ და გავაღრმავოთ. უნდა შევსწყვიტოთ „წმინდა ქართული", „წმინდა თურქული" და „წმინდა სომხური" სახეების განმარტოებულად გაგება. ჩვენი ფედერაციის საზღვრებში არ არსებობს საზოგადოებრივ-ეკონომიური ან სოციალურ - კულტურული ცხოვრების არც ერთი ისეთი დარგი, რომელიც მარტოდ-მარტო სომხური, ქართული ან თურქულ - აზერბეიჯანული იყოს. ჩვენს პოლიტიკურ ეკონომიურ გაერთიანებასთან, ერთად ჩვენ ამიერიდან გვექნება ერთი ისტორია, ერთი ლიტერატურა და ერთი ხელოვნება, რომელიც სავსე იქნება ინტერნაციონალური შინაარსით, მაგრამ სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა ნაციონალური კოლორიტით.



შ ი რ ვ ა ნ ზ ა დ ე

**27 თებერვალს საქართველოს განათლების კომისარიატმა და საქართველოს საბჭოთა მწერლებს ფედერაციამ შირვანზადეს გადაუხადა სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი იუბილე; შირვანზადე დაჯილდოებულ იქნა ამიერ-კავკასიის დამსახურებულ მწერლის სახელწოდებით·**

რომელი საზოგადოებრივი წრის ნაყოფს წარმოადგენს შირვანზადე, როგორც მწერალი? როდესაც ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ამიერ - კავკასიის ახალგაზრდა ბურჟუაზიის ყველაზე ძლიერი ფრთა იყო სომხური. შირვანზადე, როგორც მწერალი, წარმოადგენს ბაქოს იმ სოციალური წრის ნაყოფს, სადაც გაბატონებული კლასი ბურჟუაზია იყო. სწორედ ამ წრემ მისცა მას მდიდარი მასალა, აგრეთვე მისცა მიმართულება მის შემოქმედებას. თავდაპირველად მან იმდროინდელი სომხური ლიბერალური ბურჟუაზიის ორგანო „მშაკ"-ში იწყო კორესპონდენციების წერა ბაქოს ნავთის მრეწველობისა და მუშების ცხოვრებიდან.

შირვანზადეს ლიტერატურული მოღვაწეობა იწყება 1880 წლიდან. მისი პირველივე ბელეტრისტული ნაწარმოები **„ხანძარი ნავთის სარეწაოში"** გვიჩვენებს შირვანზადეს ადგილს სომხურ ლიტერატურაში. მან პირველმა აგვიწერა ნავთის მრეწველობის მუშათა გმირობა ცეცხლის სტიქიასთან ბრძოლაში, მათი თავდადება, პირველმა აღნიშნა მუშათა ინტერნაციონალური სულისკვეთება, რომელიც მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს და დაუპირისპირა მუშები ნავთის მრეწველს, რომელიც ცდილობს მუშების სიცოცხლის შეწირვით გადაარჩინოს დალუპვას თავისი ქონება. ბურჟუაზიული ლიბერალიზმის იდეოლოგიამ, რომელიც 80-იანი წლების ახალგაზრდობის აზროვნებაში იყო გაბატონებული, შირვანზადეს არ მისცა საშუალება უფრო ღრმად ჩაეხედა მუშათა კლასის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მოვლენებში მიუხედავად ამისა, სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ თავის ყველა ნაწერებში იგი გვევლინება, როგორც ბურჟუაზიული წრის ყოფისა და მის მრავალ საზოგადოებრივ ბოროტებათა მამხილებელი.

სომხური რომანის ისტორიაში შირვანზადე გვევლინება, როგორც რეალისტური მიმართულების დამაარსებელი და მისი საუკეთესო წარმომადგენელი. რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, აუცილებელი მოთხოვნილება იყო სომხის ბურჟუაზიისათვის, რომელიც ძლევამოსილად მიდიოდა წინ.

მას უკვე გავლილი ჰქონდა ბრძოლის პირველი პერიოდი, როდესაც აღმომავალი ბურჟუაზიისათვის რომანტიულ - გმირული ლიტერატურული მიმართულება იყო საჭირო; ამგვარი ლიტერატურის შემქმნელის ისტორიული როლი შეასრულა შირვანზადეს წინამორბედმა მსხვილმა რომანისტმა **რაფიმ.**

რაფის რომანიზმს უპირისპირდება შირვანზადეს ფხიზელი რეალიზმი. არ არსებობს ლეგენდები, მოგონილი სახეები; ბუმბერაზთა შეხლა - შემოხლა და ისტორიის სიღრმიდან წამოყენებული ნახევრად ფანტასტიური გმირები. არ არსებობენ მეფეები და თავადნი და მათი „გმირობა“ ამიერიდან რომანის გმირებად ველარ ვხედავთ მამიკონიანებისა და ბაგრატუნების განთქმულ გვარეულობას და ყარაბაღის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ფეოდალებს დავით-ბეგებს. ყოველმხრივ გამარჯვებული ბურჟუაზიისათვის ახლა უკვე გარემო ცხოვრების რეალური დასურათება, მისი ყოველდღიური მოვლენების მხატვრული ასახვა იყო საჭირო. ამიტომ ნაცვლად რომანტიული გმირებისა, — სულერთია წარსულიდან იქნებიან ისინი, თუ აწმყოდან, — გვევლინებიან კაპიტალისტური დაგროვების გაუმაძღარი მოციქულნი — ყველა ეს ილისბაროვები და ამალიანები, რომლებიც მტკიცედ მიაბიჯებენ კაპიტალიზმის სავაჭრო და საკაჩში პერიოდიდან მისი მაღალი საფეხურის — სამრეწველო და საფინანსო კაპიტალიზმისკენ

ამ პროცესის ნიჭიერი დახასიათება მოგვცა შირვანზადემ მეტად ნათელი სალიბავებით. ამ ეპოქის ტიპებისა და სახეების ნამდვილი კალეიდოსკოპი გვაქვს მის მრავალრიცხოვან ნაწარმოებში: **„ხანძარი ნავთის სარეწაოში“, „ნოქრის დღიური“, „არამში“, „ფუჭი იმედები“, „მზრუნველი“, „არსენ დამასხიანი“, „მელანია“, „ნამუსისათვის“, „ნანგრევებზე“** და მრავალ სხვაში, განსაკუთრებით მის საუკეთესო ნაწარმოებში **„ქაოს“-ში.**

ბურჟუაზიული წრის ყოველდღიური ცხოვრება და მისი გმირები, ფულის დამგროვებელი ვაჭრები და მრეწველები, სავაჭრო სახლი და ნავთის სარეწაო. ბირჟა და კაფე-შანტანი, ხარბი მაკლერი, კარიერის მაძიებელი სპეციალისტები. გამფლანგავები, „მაღალი წოდების“ გახრწნილი და გადაგვარებული წარმომადგენლები, მოჭეიფენი, ჟუირები, მოსყიდული რედაქტორები და კაპიტალის ჯონდრუკის მკმეველი სამღვდელოება. ანგარიშზე, მოტყუილებაზე და ძალადობაზე დამყარებული ოჯახი და ყოველივე ამის გვერდით მუშათა მასა, რომელიც მთელი ამ ხროვის დაუზოგავი ექსპლოატაციის ქვეშ გმინავს და რომელიც ავტორის სიტყვით, „ყველა ღირებულებათა შემქმნელია“.

შირვანზადის შემოქმედების კვინტ-ესენციას წარმოადგენენ რომანი **„ქაოსი“** და დრამა **„ნამუსისათვის“.** ამ ნაშრომებში მწერლის დაკვირვებათა სარბიელს წარმოადგენს ბაქო —ამიერ -კავკასიის მრეწველობის მთავარი ცენტრი. სადაც კაპიტალიზმმა შექმნა თავისი მძლავრი საზოგადოებრივი ცხოვრება. კაპიტალისა და ნავთის დიდ ქალაქებში გამეფებულია მოუსვენარი შრომა, რომელიც ქმნის აურაცხელ ნივთიერ სიმდიდრეს. მიწის წიაღიდან ამოაქვთ ოქროს სითხე, რომელიც დაუსაკუთრებია ერთ მუჭა ხალხს და ეს მუჭა ხალხი ყლეფს ათი-ათასობით მუშებს სწრაფად აგროვებს სიმდიდრეს თავისი გაუმაძღარი წყურვილის მოსაკლავად და ახალი დაგროვებისათვის. ამ სიმდიდრეში წილი არ უდევს მხოლოდ მუშათა კლასს, რომლის ხვედრია მარტო მძიმე შრომა, სილატაკე, უუფლებო მდგომარეობა და უკიდურესი კულტურული ჩამორჩენილობა.

მოუსვენრად მცხოვრები კაპიტალისტური ქალაქის სურათის მოცემის დროს შირვანზადე არ არის გადაქცეული ვიწრო წვრილ ბურჟუაზიული ოცნებების ტყვედ. კაპიტალისტური დაგროვების პროცესი მისთვის არ წარმოადგენს არავითარ საიდუმლოებას. როგორც ჰქონდა წარმოდგენილი წვრილ ბურჟუაზიას სიმდიდრის დაგროვების „მძიმე შრომა“? ივი აცრცელებდა ლეგენდას „ქაოსი“-ს გმირის შესახებ. ვითომ ეს მილიონების პატრონი ალიმიანი 40 წლის წინად ბაქოში ქალამნით ჩამოსულა და აქ მას მისმა ბედის ვარსკვლავმა მაშინვე უჩვენა გზა აუარებელი სიმდიდრის ჯადოსნური ქვეყნისაკენ. ვითომ ალიმიანის მშვენიერი სასახლის სარდაფში იყო „საფლავივით ბნელი და ცივი“ ვიწრო საკანი, სადაც ალიმიანი ჩადიოდა ყოველ ღამე, როგორც „ძუნძი რაინდი“, რომ თაყვანი ეცა თავისი ოქროთი სავსე ტომრებისათვის და ლეგენდარული ქალამნებისათვის.

მაგრამ რეალისტ - რომანისტისათვის ლეგენდები არ არსებობენ: მან იცის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება, — რომ ალიმიანი „დაუზოგავად ახრჩობდა თავის მოვალეებს“, იპარავდა და სძარცვავდა, ყალბი თამასუქებით სილატაკეში აგდებდა მასზე მინდობილ ხალხს. თავისი ამაღლების მძიმე გზაზე იგი შეიჩვია სიძუნწეს, თვითნებობას, მლიქვნელობასა და პირფერობას. მისი სახით შირვანზადე გვიხატავს სიმდიდრის დამაგროვებელი კაპიტალისტური კლასის პირველი თაობის წარმომადგენელს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იმსახურებოდა ერთ მიზანს: — დაეგროვებინა ფული იმ მიზნით, რომ გაეფართოებია წარმოება და მტკიცე ფეხზე დაეყენებინა იგი. მის გვერდით ავტორი გვიხატავს იმავე კლასის მეორე თაობის წარმომადგენელს თავისი ფუქსავატი ცხოვრებით და ქვენა ინსტინქტების დაკმაყოფილების ძიებით.

შირვანზადემ „ქაოსში“ ფართოდ გადაშალა ჩვენს წინაშე ყველა ის უარყოფითი მოვლენები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ კაპიტალისტური წყობილების რაობიდან. ყველა მათგანის ხარბი თვალი მიპყრობილია ოქროსაკენ: შვილი მამას სძარცვავს, ძმა—ძმას პარავს, ქალი და სიძე იმის ცდაში არიან, რომ რაც შეიძლება მეტი წილი იგდონ ხელთ მამის მემკვიდრეობიდან. მართველი ყალბი საბუთების საშუალებით აცალიერებს თავისი ბატონის სალაროს, ხოლო თვით კაპიტალისტს გაყიდული აქვს ობობას ქსელი და „კანონიერად“ სწოვს სისხლს ათასობით მუშას. ამ რომანში შირვანზადეს მიერ დახატული ბურჟუაზიული ოჯახი უკიდურესად გახრწნილია. **მის წევრთა შორის არ არსებობს არავითარი ზნეობრივი კავშირი: მათი შემაერთებელი ერთად-ერთი რგოლი ფულია.** როგორც რომანის ერთი გმირთაგანი შენიშნავს — „აქ ჯოჯოხეთი და ქაოსია“. მართლაც, ტყუილად ხომ არ უწოდა ავტორმა თავის რომანს „ქაოსი“.

ამ ვაკხანალიის მიმართ შირვანზადეს მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი პოზიცია უჭირავს. იგი აკრიტიკებს და ამჟღავნებს კაპიტალისტური წყობილების მიერ წარმოშობილ სოციალურ იარებს. ატმოსფერო იმდენად მოშხამული და სულის შემხუთავია, რომ მკითხველი უნებლიად ეძებს გამოსავალს ამ ოსტატურად დასურათებული „ჯოჯოხეთისა და ქაოსისაგან“. გამოსავალსვე ეძებს, პირველ ყოვლისა, თვით ავტორიც. მაგრამ მან ვერ შესძლო ამ გამოსავალის გამონახვა, ვინაიდან **მთელი მისი კრიტიკა არ სცილდება ბურჟუაზიული ურთიერთობათა ფარგლებს.**

შირვანზადემ სცადა, „ქაოსისათვის“ დაეპირისპირებინა იდეალისტურად განწყობილი ხალხი, რომლებიც ლამაზად მსჯელობენ მაღალ სცენებზე პროტესტს აცხადებენ სოციალურ უწესობათა გამო და სხვ.

მაგრამ ვინ არიან ეს იდეალისტები? ისინია წვრილბურჟუაზიული ლიბერალიზმის წარმომადგენლები, რომლებსაც თანაუგრძნობს თვით ავტორიც. ისინი ხედავენ სოციალურ იარებს, მაგრამ არ იციან, როგორც მოუსინჯონ მათ ფესვები. თავიანთი სოციალური მდგომარეობის, გამო მათ სრულებით არ შესწევთ იმის უნარი, რომ შეებრძოლონ არსებულ საზოგადოებრივ ბოროტებას.

ასე წარმოგვიდგება მთავარ ხაზებში შირვანზადეს ფიგურა და მისი ნახევარ საუკუნოვანი ლიტერატურული მოღვაწეობა. შირვანზადე ერთად-ერთი მწერალია (განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას სომხური ლიტერატურის შესახებ), რომელმაც ფართო ტილოებზი მოგვცა ამიერ - კავკასიის სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ნათელი სურათები. მან დაგვიხატა დიდი კაპიტალისტური ქალაქი, მისი მრავალმხრივი ცხოვრება, მისი ცხოვრების აჩქარებული ტემპი, ფულის ბატონობა. მან მოგვცა ნავთის სარეწაოებისა და ქარხნების ოსტატური აწერილობა, გაბედული სალიბავებით დაგვიხატა იმ მუშა ხალხის ყოფა, რომელიც ტალახში და მჭვარტლში ქმნიდა აურაცხელ სიმდიდრეს გაუმაძღარი ექსპლოატატორებისათვის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ პარიზში ყოფნის დროს (1925 წელს), შირვანზადემ დასწერა კომედია **„მორგანის ნათლიმამა“**, რომელიც გვიხატავს ამიერ - კავკასიის ბურჟუაზიის, უკანასკნელი ნაშთების სრულ გახრწნას საზღვარგარედ.

**ა. სურხატ.**

# მაიმუნების ფერმა სოხუმში

ერთად ერთი საბჭოთა კავშირში — მაიმუნების ფერმა სოხუმში წარმოადგენს მოსკოვის სახელმწიფო ენდოკრინოლოგიური ინსტიტუტის განყოფილებას. ფერმის მთავარი ამოცანაა—მაიმუნების აკლიმატიზაცია და მეცნიერულ-ექსპერიმენტალურ მუშაობის ფართოდ გაშლა.

ამჟამად სოხუმის ფერმაში 41 მაიმუნია: 21 გამადრილა. 9 პავიანი, 5 შიმპანზე, 4 რეზუსი და 2 ორანგ-უტანგი. ზოგიერთი მათგანი დაიბადა აქვე, ფერმაში, რითაც დამტკიცდა აფხაზეთში მაიმუნების არსებობის და გამრავლების შესაძლებლობა, სათანადო მოვლისა და კვების პირობებში.



მიმდინარე წელს სოხუმის ფერმაში სწარმოებს დიდი მუშაობა მის მოსაწყობად და გასაფართოვებლად. მაღალი კედელით შემოღობილი ვოლიერი შესაძლებლობას მისცემს მაიმუნებს თავიანთი თავი ეგონოთ სამშობლოში. ამ ვოლიერის ფართობი 2 დესეტინას უდრის, იქ დარგულია აუარებელი ხეები; იგი შესაძლებლობას მისცემს ფიზიოლოგებს თვალყური ადევნონ თავიანთ აღზრდილებს ბუნებრივ პირობებში. გამადრილებისათვის და შიმპანზეებისათვის იგება სპეციალური შენობები, ეწყობა ექსპერიმენტალური საოპერაციო განყოფილება, შეძენილია ახალი აპარატები და ხელსაწყოები, ეწყობა სამეცნიერო მუზეუმი.

**სურათზე**—სოხუმის ფერმის თანამშრომლები ახალგაზრდა შიმპანზესთან.

**ე. შ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინანდალი

## საბჭოთა მამული



ფოტო—ტორის.

სურათებზე: წინანდალის მამულის სარდაფი საექსპორტოდ გამზადებული ღვინო, მამულის ერთ-ერთი ზვარი, ღვინის ჩასხმა ბოთლებში.

თელავიდან წინანდალამდე მიდის საუკეთესო შარა გზა. გა ცდებით თუ არა თელავს, მგზავრის თვალწინ იჭიმება უზარმაზარი სახნავი მიწები, ვენახები, ქვევით კი, ჭალით დაფარული ალაზნის ველი. შორს მოსჩანს თეთრი კავკასიონი თავისი მიუვალი მწვერვალებით.

წინანდლამდე თელავიდან 7 კილომეტრია. გზას ერთ ადგილას სჭრის მდ. კისისხევი. ეს პ ტა რა მდინარე ეხლა დამშრალია. თოვლის დნობის დროს მან იცის მოვარდნა და მაშინ უწყალოდ ანგრევს და ანადგურებს ყველაფერს, რაც კი ხვდება გზაში. მიაქვს სახლები, ვენახე ი, აფუჭებს დამუშავებულ მიწებს. ყოველ წელს მეორდება ეს ამბავი და ჯერ კიდევ არ არის მიღებული ზომები ამ გიჟი მდინარის ასალაგმავად.

წინანდალი—საბჭოთა მამულია. ეს მდიდარი არემარე ოდესღაც ეკუთვნოდა პოეტს ალ. ჭავჭავაძეს. შემდეგ მამული გადავიდა მეფეების საკვ რეულოს ხელში, დღეს კი წინანდალს პატრონობს ნამდვილი პატრონი—საბჭოთა ხელისუფლება.

წინანდალი—ღვინის სამეფოა. აქ მზადდება საუკეთესო ხარისხის ღვინო, როგორც ჩვეულებრივად მოსახმარი, ისე სამკურნალო, ე. წ. „ყურძნ ს წვენი“.

წინანდალში მიდის ღვინო სხვადასხვა კუთხეებიდან, შამხორიდან, ვარციხიდან. აქ, სარდაფებში, ხდება ამ ღვინოების შემოწმება და მათი გადამუშავება. წინანდალში ყველაზე საინტერესოა სარდაფი, რომელშიაც ინახება ღვინოები. ეს სარდაფი უდიდესია მთელს საქართველოში. აქ არის დაცული ერთი კასრი (ბოჩკა), რომელიც იტევს 1.300 ვედრო ღვინოს. სარდაფში გაყვანილია ელექტრო-სინათლე. დახელოვნებული მუშები სპეციალისტების ზედამხედველობით, ამოწმებენ ღვინოს, ასუფთავებენ მას და ამზადებენ საექსპორტოდ. საბჭოთა მამულს შეძენილი აქვს ახალი ხელსაწყოები და მანქანიბე ღვინი გასაწურად.

საექსპორტოდ გამზადებული ღვინო ბოჩკებით და ყუთებით, მიაქვთ სადგურზე, საიდანაც შემდეგ იგზავნება სხვადასხვა ადგილებში.

წინანდალის საბჭოთა მამული თანდათან ფართოვდება. 1930 წლის გეგმის მიხედვით, მამულს უნდა გაეშენებინა 15 დესეტინა ახალი ვენახები. ეს რიცხვი გადაჭარბებით იქნა შესრულებ ლი. 20 თებერვლისათვის მამულმა გააშენა 32 დესეტინა.

წ ნანდალის მამული დიდ დახმარებას უწევს კახეთის კოლექტივებს. მამულში მომუშავე აგრონომები მიმაგრებულნი არიან კისისხევის და წინანდალის კოლექტივებზე. მამულის სახელოსნოში სწარმოებს კოლექტივების სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთება. მამული თავისი ძალებით აწყობს კურსებს, სადაც იმეცადინებ ნ კოლექტივის წევრები და გაეცნობიან მევენახეობა მეღვინეობის გაუმჯობესებულ წესებს.

# ა ღ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა   ხ ე ვ ს უ რ ე თ შ ი



სოფ. ბარისახოს შრომის სკოლა.

ხევსურეთი თავისი მოსახლეობით მომწყვდეულია მკაცრ ბუნებაში. ხევსურეთში მიმავალი გზა-ბილიკები ზამთრობით სულ იკეტება და მიუვალი ხდება. დღემდე იგი იყო მიძინებული, კარჩაკეტილი და დაშორებული კულტურულ ცხოვრებას. არც ერთ ძველ მთავრობას არ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება; მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ხევსურეთში დაიწყო ახალი ცხოვრება და ამშენებლობა. ს. ბარისახო დამშვენდა ახალი შენობებით. აშენდა ორსართულიანი სკოლა თავისი მოწყობილობით და [illegible] საავადმყოფო 22 თახით. გაიხსნა პურის საცხობი კოოპერატივი. აშენდა მილიციის და ალმასკომის შენობები და სხვა... ასეთივე აღმშენებლობა მოხდა ს. შატილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



ამხ. ბორის ძნელაძე

ეხლახან სამხატვრო აკადემია-დასრულებულებმა სკულპტორმა-კომკავშირელ ბმა—მერაბიშვილმა და თავაძემ, გამოაქანდაკეს კომკავშირის დამაარსებელის ამხ. ბ. ძნელაძის ქანდაკება; ახალგაზრდების ნამუშევარი მოწონებულ იქნა სპეციალური კომისიისგან.



საქართველოს სამეურნეო რაიონებისთვის თბილისში მიღებულ იქნა ტრაქტორების ერთი პარტია. სურათზე ნაჩვენებია ამ ტრაქტორების აწყობა მიწსახკომის საწყობში.



ამ დღეებში თბილისში წითელი არმიის და ფლოტის სახლში მოწვეული იყო დამკვრელ წითელარმიელთა ყრილობა.

სურათზე: დამკვრელ მეთაურთა და წითელარმიელთა ერთი ჯგუფი.



ძველი რეჟიმის სიბნელის ნაშთი, რომელსაც უკვე ანგრევენ და მის მაგიერ აშენებენ ამიერ-კავკასიის სოციალისტურ მრეწველობის სახლს.



[illegible]სახლის ქუჩის გასაგანიერებლად და მიმოსვლის წესიერად მოსაწყობად იღებენ მთელ რიგ შენობებს [illegible]ამოიანცის ეკლესიას.

სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიმდინარე წლის მარტში
# გამოვა

ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური

ჟურნალი

# „ბოლშევიკი“

საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ორგანო

## ხელისმოწერა მიიღება

### თბილისში:

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პრ. № 34)

ფოსტის ცენტრალურ საგაზეთო ბიუროში.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და ქვითარებით.

### პროვინციაში:

ფოსტის უწყების ყველა დაწესებულებებში.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და რკინის გზის კიოსკებში.

### ჟურნალის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 1930 წლის ბოლომდე | — 2 მ. 50 | კაპ. |
| 6 თვით . . . . . | — 1 მ. 50 | კაპ. |
| 3 თვით . . . . . | — 75 | კაპ. |
| 1 თვით . . . . . | — 25 | კაპ. |

ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ.

„კომუნუსტი“-ს გამომცემლობა.

მთავლ. № 498. ტირაჟი 5600. პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცე